



საოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი: გამოდის ყოველ კვირა დღეს  
 № 41 ო კ თ ო მ ბ ე რ ი 4 1898 წ. № 41

შინაარსი: სახალხო კითხვების გამო ნ. ყორდანასი.—სხვა-და-სხვა ამბავი.—„კვალის“ კორესპონდენციები.—საზღვარ-გარეთ.—ჩვენი დროის არმაზი, ლექსი დ. თიმაშვილისა—კავკასიის მეორე საბაღოსნო გამოყენა თფ.ლისში ი. ქ.—ქ.სა.—კრი-ტიკული შენიშვნება ივ. გომართელისა—წერილი საფრანგეთიდან X-სა.—კვალის ფოსტა.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

კვალის და ჯეჯილის რედაქცია უმორჩილესათ თხოვს იმ ხელის მომწერლებს, რომელთაც სრულათ არა აქვთ შემოტანილი თავისი ხვედრი ფული დაა-ჩქარონ და შემოიტანონ თუ არ უნდათ რომ ქურ-ნალ-გაზეთის გზავნა მოესპოთ.

სახალხო კითხვების გამო.

ეს მეცხრამეტე საუკუნე სწორეთ რომ ხალხის საუკუნეა. ვინც არ გინდა, დიდი თუ პატარა, უფ-როსი თუ უმცროსი, ნასწავლი თუ უსწავლი—ყვე-ლა ხალხი, ხალხიო გაიძახის. წინეთ ვინ იტყოდა მაგ. სახალხო განვითარება, სახალხო განათლება, სა-ხალხო სკოლა? რასაკვირველია არავინ, არავინ იმი-ტომ, რომ ხალხი არ ჩნდა, მისი ძალა და მნიშვნე-ლობა არავის სწამდა. ხალხის ცხოვრებას ბნელი ზე-წარი ჰქონდა გადაფარებული და აბა ვინ მოიფიქრებ-და თუ მის ქვეშ ჰერკულესი იმალებოდა. გასული საუკუნის დაასრული და ამ საუკუნის დასაწყისი არის იმავე დროს ხალხთა ძილ-ს დასასრული და მა-თი გამოფხიზლების დასაწყისი. ევროპის ერებმა ქი-ვილ-ხაველით შემოდგეს ფეხი ახალ-დროში და მთე-

ლი არე-მარე მიანძრ-მოანძრიეს. ამ მოულოდნელ მღელვარებამ ბევრი, ძალიან ბევრი დაობებული გე-მები და დაძველებული ნათ-სადგურები მიღეწ-მო-ღეწა. გამოჩნდა, რომ ეს ხალხი არც ისე აბუჩათ ასაკდები ყოფილა, და არც ისე სუსტი და უძლური, როგორც ეს მას ჟამსა შინა ეგონათ. პირ იქით ერის წყობილების და სახელმწიფოს ძლევა-მოსილობის დედა-ბოძი ხალხის მდგომარეობაში ყოფილა დამარ-ხული. აი აქედან ხალხი განდა ერთ უმთავრეს საზ-რუნავ საგნათ. მის წარმატებაზე და აღორძინებაზე ფიქრი ყველამ დაიწყო. ზოგისთვის ეს მოდათ გადა-იქცა და ზოგისთვის რწმენათ. ამ საერთო მოძრაო-ბაში ჩვენც ჩავებით და სხვებია ამჟამად ჩვენც ვი-ძახით ხალხი, ხალხიო. მარა თუ ამ ძახილს მოწინა-ვე ქვეყნებში შესაფერი შანაარსი და გარკვეული მი-ზანი აქვს, ჩვენში კი ის ორივეს მოკლებულია. ჩვენ ვიძახით ამას იმიტომ, რომ ასე იძახიან სხვაგან, მორ-ჩა და გათავდა. ხალხის წინ-წაწევა რომ კაი საქო-ნელია ეს ყველას ჯერა, გარდა ფეოდალთა და მო-სე მწერალთა, რასაკვირველია. მარა რას ნიშნავს ეს წინ-წაწევა, საით არის ეს „წინ“—მრავალთა და მრავალთათვის საიდუმლოებით მოცულია. წინ რომ ჰყო-

ქ. შინაარსი ს.ხ. ს.ქ. სსრ  
 სახალხო-კვალი  
 ბი-ბილითა




ნია ის თურმე უკან არის და უკან რომ ჰგონია, წინ. მოდი და გაიგენი აქ გზა და კვალი! ეს კიდევ ცოტაა, ჯერაც ვერ შევთანხმებულვართ იმაში, თუ ვინ არის ეს ხალხი. როცა რომელიმე მოღვაწე ევროპაში იტყვის ხალხიო, მაშინ ის და სხვებიც ერის ყველაზე უფრო მოძრავ და მოწინავე ელემენტს გულისხმობს. ჩვენში თუ ხალხი ახსენე უთუოთ ქუჩის მიგლეჯილ-მოგლეჯილ ან და სოფლის უძრავ ელემენტს გულისხმობენ. ამიტომ არის რომ იქ ხალხში ხედვენ მთავარ ძალას, აქ კი განხორციელებულ უძლეურებას. და უძლეურს ხომ განკითხვა და თანაგრძნობა ეჭირებოდა. მარა არის თანაგრძნობა და თანაგრძნობა, ზოგი თანაგრძნობელი ცდილობს კაცი საკუთარ ფეხზე დააყენოს, თვითონ მას აღუძრას ენერჯია მოქმედებისათვის, ზოგი კი, პირიქით, თვითონვე დგება მის ალაგას, მის გულ-კეთილ ძიძაობას ჩემობს, მის გასაკეთებელს თვითონ აკეთებს და მით თვით-მოქმედების ასპარეზს უხშობს. და ეს მიმართულება არის არა ერთი და ორი პირის, არამედ, ერთ განსაზღვრულ დროში, მთელი საზოგადოების მიმართულება. მაგ. მე-40 წლებში გერმანიაში სოკოსავით გავრცელდა ეგრეთ წოდებული „მუშათა დამხმარე საზოგადოებები“, რომელთა მეთაური იყვნენ მოხელენი, მღვდლები, ინტელიგენტები და სხ. ესენი ხალხისთვის ფულსაც აგროვებდნენ, კითხვებსაც მართავდნენ, წიგნებსაც ურიგებდნენ, მარა ყველა ეს ისე, რომ თვითონ ხალხს არ დაეწყო ეგვე, თვითონ არ ეზრუნა თავის თავზე, თვითონ არ ჩაბმულიყო ამ საქმეში. 1845 წ. ეგსტრალიის ერთ ასეთ საზოგადოებაში წინადადება შეიტანეს: „საზოგადოება ისე მოეწყოს, რომ სხვა-და-სხვა წოდებები ერთმანეთს ხედებოდნენ“. ბევრ ლაპარაკს შემდეგ უარჰყვეს ეს, იმ მოსაზრებით, რომ „შავი-ხალხიც“ შემოგვეყრევა და ჩვენთან ერთათ გამოიქნება „საზოგადოებაში“. ერთი სიტყვით ბატონი ინტელიგენტ-ქველმოქმედნი თავს დებდნენ ხალხისათვის, მხოლოდ მასთან შეხვედრას, მისი აზრის და ლაპარაკის მოსმენას, მისი საქმეში გაამხანაგებას თაკილობდნენ. ის, რაც იქ ამ ორმოცდა ათი წლის წინეთ იყო, დღეს ჩვენში წარმოებს. მართალია ჩვენ ასეთი დაწესებულებები ცოტა გვაქვს, მარა რაც არის ისიც იმავე საფუძველზე არის აგებული, სახელდობრ: საქმისაგან სისტემატიურათ დაშორება იმ ხალხის, რომლისთვისაც ამ საქმეს ვაკეთებთ. ამიტომ რაღა გასაკვირველია, თვით საქმეს უფერული და კანცელარიული ხასიათი რომ ჰქონდეს.

ასეა თუ ისე, დღეს ყველგან მეცადინეობენ ხალხი განვითარონ და გაამაგრონ. რას ნიშნავს ეს განვითარება? რისთვის და რაშია საჭირო მისი გამაგ-

რება? რასაკვირველია ცხოვრებაში და ცხოვრებისთვის. თანამედროვე ცხოვრების პირობები ისე გართულდნენ, ისე გამრავლდნენ, რომ ადამიანს აღარ ძალ-უძის ძველებური შეხედულობებით და მომზადებით აქ ფეხი მოიკიდოს და რიგიანათ თავი იჩინოს. აუცილებელი გახდა ამ პირობების შეგნება და თანხმით ამისა მომზადება. და აი მთელი დღევანდელი სწავლა-განათლება და ყოველ-ნაირი დაწესებულება აქეთვე მიიღტვის. მათი მიზანია კაცს მისცეს შესაფერი იარაღი ბრძოლსა მით თავის რჩენა გაუადვილოს. ის ერი, რომლის უმცირესობაა ასეთი ფარ ხმალთ აღჭურვილი, სუსტ ერთ ითვლება და ბრძოლაშიაც იჩაგრება. ის ერი, რომლის დიდი უმრავლესობა შეგნებულათ გამოსულა სამოქალაქო ასპარეზზე—მძლეურ ერთ ითვლება და ბურთი და მოედანიც მას რჩება. ხოლო ამისათვის საჭიროა შესაფერი სწავლა ცოდნის გავრცელება ხალხში. პირველ დაწყებითი სკოლას შეუძლია მხოლოდ ელემენტარული მომზადება მისცეს ამ ნიადაგზე, აქ შეგირდი მზადდება, სრულ მომზადებას კი ვერ ასწრებს. ეს მან ცხოვრებაში უნდა შეასრულოს. მარა როგორც კი აქ შემოდგამს ფეხს, მაშინვე ცხოვრების მოთხოვნილებები შემოეხვევიან და აქეთიქით გააქან-გამოაქანებენ. სანამ ამ ახალ პირობებს აწონ-დაწონივდეს, სანამ შესაფერ შეიარაღებაზე მოიუტიკრებდეს, ის უკვე ცხოვრების მორვეშია გადატყორცნილი და მის ტალღებთან საბრძოლველათ იძულებული. იმას დრო აღარ რჩება რაიმე ისწავლოს სისტემატიურათ, ის ერთი დღეც ვერ გაჩერდება უსაქმოთ, უმუშეირათ. აქედან დაიბადა მოთხოვნილება: ამ ხალხს ისე ვასწავლოთ რომ საქმეს არ მოცდესო. ერთ და იმავე დღეს კიდევაც იმუშაოს, ცხოვრების წყარო გაიჩინოს და კიდევაც ისწავლოს, განათლება შეიძინოს. მარა განათლება არა განყენებული, (განათლება განათლებისათვის), არამედ ყოველ დღიურ ცხოვრებაში გამოსაყენებელი და თავის რჩენის გამაადვილებელი. თანახმით ამისა არსდება (გარდა საკვირაო და გასაგძელებელი სკოლების) ორ-ნაირი დაწესებულება: სახალხო საზოგადოკურსები (კითხვები) და სახალხო სპეციალური (ტექნიკური) კურსები. პირველას მიზანია, ერთა მხრით, ადამიანს შეაგნებოს დღევანდელი ურთი-ერთობა, გაუთვალისწინოს ამ ურთიერთობის წასული და მომავალი გზა და მით აქციოს ის შეგნებულ მოქალაქეთ; მეორე მხრით, მისცეს ცნობა ბუნების მეტყველებაში, აუხსნას ბუნების მოქმედება, გააგებოს ქვეყნის შექმნის და განვითარების მეცნიერული ისტორია და მით ის აქციოს ბუნების შეგნებულ გვირგვინათ. ყველა ეს კაცს კაცათ ჰქმნის. მეორის (ტე-






ხნაკური განათლების) მიზანია კაცი ხელობის მკოდნეთ გახადოს, რომელსამე სპეციალურ საგანში დახელოვნოს და მით პრაქტიკულათ გაგებულ მუშაკათ გამოაყენოს. აი როგორი მიმართულება მიიღოს დღეს ევროპის სახალხო განათლებამ. ამაში ყველაზე უფრო დიდი ღვაწლი ქალაქთა თვით-მართველობას და მუშათა და ვაჭრთა საზოგადოებებს მიუქცევს.

ჩვენში? აქ ჯერ ასეთი მიმართულება არ არის. ჩვენებური პირველ დაწყებითი სკოლა სრულიად სხვა ნადაგზეა დაყენებული, იმას სამოქალაქო მომზადება სრულიად სახეზე არ აქვს. ხოლო კურსები ხომ არ არის და არა. თფილისში არსებობს ერთი საზოგადოება, რომელიც ეს რამდენიმე წელიწადია სახალხო კითხვებს მართავს, მარა, როგორც მისი ანგარიშიდან ჩანს <sup>1)</sup>, ამ ერთათ ერთ საზოგადოებასაც ვერ შეუძნია თავისი მოწოდება და მოვალეობა. პირველ ყოვლისა მისი სამოქმედო ასპარეზიდან გამოდევნილია ქალაქის ხალხის დიდი უმრავლესობა. „ანგარიში“ ეკითხულობთ: „მალაკნები და ადგილობრივი მკვიდრნი დადიან კითხვებზე, მარა ძალიან იშვიათათ... ე. ი. ქართველობა და სომხობა ასეთ კითხვებს მოკლებულიაო. და არ ჩანს რომ ამის თავიდან ასაშორებლათ რამე ღონე მიეღოს. ცხადია, ეს „ხალხის მეგობარნი“ რალაც გადაუკუღმართებული აზრებით ხელმძღვანელობენ... დაენებოთ ამას თავი და განვიხილოთ „კითხვები“. როგორც ამათი სიიდან ჩანს, კითხვების მიზანი ყოფილა უფრო ის, რომ ხალხი სამიკიტნოებს და ცუდათ დროს ტარებას მოშორდეს, ეინემ ის განვითარებულ და შეგნებულ მოქალაქეთ იქცეს. ჯერ ერთი რომ ხალხს იწვევენ იმიტომ, რომ ოროლ-კაპეიკიანი წიგნაკები უკითხონ, მაშინ როდესაც საჭირო იყო ამ წიგნაკების ღარიგება, გაერცვლება და მათშინაც წაიკითხავდნ. კითხვებისთვის კი მოწვეულ უნდა იქმნას სპეციალისტი (მაგ. ბუნების-მეტყველი, ისტორიკოსი და სხ.). რომელიც დასწერს თავის საგნის შესახებ რეფერატივით და მსმენელთ ერთ მთელ სისტემატიურ ცოდნას წარუდგენს. თვარა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები და ისიც წიგნაკების საშუალებით არავის თავში არ ღარიგება. ეს მით უფრო, რომ მსმენელთა დიდი უმრავლესობა ხელ-მეორეთ აღარ ესწრება კითხვებს. (მ. 473 მოზდილ მსმენელთა შორის მხოლოთ 929 დასწრებია ხელ-მეორეთ იყო მესამეთ). მაშინადამე იმან გაიგონა რალაც ჰაერიაო და წავიდა. მარა რისთვის ან რატომ არის ეს ქვეყანაზე, ამის შესახებ არაფერი არ იცის, რასაკვირველია. ასე

რომ როგორც მოვიდა ისეთი წავიდა, სალამო ტყულა დიკარგა, და აკო აღარც მოდის მეორეჯერ. გარდა ამისა ხალხისთვის არავითარი ცოდნა არ მიუწვდენიათ თანამედროვე ცხოვრების და მის წასულის შესახებ. ე. ი. ის, რაც კითხვის თავი-და-თავი მიზანი უნდა იყოს, სრულიად უყურადღებოთ დაუტოვებიათ. სამაგიეროთ ეგვიპტელებს, ჩინელებს, სხვა-და-სხვა მოთხრობა-ლექსებს საპატიო ალაგი დაუქვრიათ კითხვების სიაში. ერთი სიტყვით კითხვების ხელმძღვანელთ არავითარი სისტემა არ შეუდგენიათ, კითხვების მიზანი ვერ გამოურკვევიათ და რალა ვასაკვირველია მსმენელს იქიდან არავითარი გამოსაყენებელი ცოდნა არ გამოჰქონდეს.

ამ ნაირათ, ხალხის სამოქალაქო ცხოვრებისათვის მომზადება სრულიად უყურადღებოთ არის დატოვებული ჩვენში. ამ გზაზე ჯერ არავინ არ შემდგარა, არავის არ უმოღვაწია. დრო არის უძრავობისაგან გამოვიდეთ და ახალ მოთხოვნილებებს ანგარიში გაეუწიოთ!

ნ. ჟორდანიას.



სხვა-და-სხვა ამბავი.

დღეს, ოთხ ოქტომბერს, დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში ხელ-მეორეთ დანიშნულია დრამატიული საზოგადოების წევრთა კრება. კრება შედგება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. კრების საგანია გამგეობის ხუთი წევრის არჩევა. სასურველია ბევრი წევრი დაესწროს და გამგეობაც რიგიანი აირჩეს.

29 სექტემბერს თფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა: გაანთავისუფლოს გამგეობის წევრი ბ. ვერმიშევი გამგეობის საქმეებისაგან და მიანდოს ცხენის რკინის გზის გაწყობის საქმე. ამავე საგნისთვის არჩეულ იქმნა აგრეთვე განსაკუთრებითი კომისია.

26 სექტემბერს ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორმა ბ. კოვალევსკიმ ინახულა თფილისის ვაჭართა კომიტეტის თავმჯდომარე ადელხანოვი, ხოლო მეორე დღეს მას წარუდგენ კომიტეტის ყველა წევრნი და ვაჭართა მამასახლისი დავიდოვი. კოვალევსკიმ იმათ ურჩია დაარსონ ოროლი წლის საკომერციო კურსები და ამით სავაჭრო ცოდნა გააერცვლონ. გარდა ამისა მან უსაყვედურა ვაჭრებს, რომ ისინი ასე ცოტათ სარგებლობენ ქვეყნის სიმდიდრით, რის გამო ამ სიმდიდრეს უცხოეთში გაიტანენ და უცხოელები გამდიდრდებიანო. ამაზე ერთ

1) Отчеты ифлисской Комиссии народныхъ чтеній з. 1895/6 и 1896/7 года.



ვაჭართაგანმა მიუგო: ადგილობრივი წარმოება ჯერ ხელია და ვერ უძლებს უცხოეთის მოცილობას, მით უფრო რომ ამიერ კავკასიის რკინის გზის ტარიფი ძრიელ დიდიაო. კოვალევსკიმ დაეთანხმა ამას, მარა თქვა, რომ ტარიფის გაიფხვება შეუძლებელია, სანამ ნავთის მილს არ გაიყვანენ ბაქოდან ბათომამდლო.

კახეთის ტყის პატრონთ განზრახვა აქეთ ქ. თელავში გამართონ ხე-ტყის მასალის საწყობი.

წელს აფხაზეთში გამართეს სამი საეაქო და ერთი საქალებო ერთ კლასიანი სკოლა.

გურიის „შუამავალს“ წელს ორი ათასამდე ნედლი პარკი უყიდა, რაიცა 600 ფუთზე მეტ ხმელ პარკს შეადგენს. პარკი ჯერ არ არის გაყიდული.

თ. გ. დ. წერეთელს ნება მიეცა ქიათურის რკინის გზის სამი შტო გაიყვანოს, სულ 40 ვერსის მანძილზე. გზა თავად წერეთელის ხელში იქნება 81 წელს, შემდეგ კი ხაზინის მფლობელობაში გადავა. მთავრობას უფლება აქვს 25 წელს მერე გზა გამოიყიდოს წერეთლისაგან. რადგანაც მთა-გორიანი ადგილია და გზის გაყენა ძვირათ დაჯდება, ამიტომ ტარიფიც დიდი იქნება. ვერსზე გადასდება პირველ კლასის მოგზაურს 8 კ., მეორე კლასის 6 კაბ., მესამისას 2 1/2 კაბ. ფუთ ბაგაჟში კი თითო კაბ. გამოერთმევა, ხოლო საქონლის გადატან-გადმოტანა ეღირება 1/2 კაბ. ფუთი (ვერსზე), გარდა შაფი-ქვისა, რომლის ტარიფი 1/4 კაბ. („საეაქო-სამრეწველო გაზ.“).

ნიჭინი-ნოვეგოროდში დაარსდა ნავთის მწარმოებელი საზოგადოება, რომელსაც მიზნათ აქვს შეიძინოს ბაქოში ნავთის ადგილები და საკუთრათ აწარმოოს ნავთი რუსეთში გასატანათ. საზოგადოებას ჯერ-ჯერობით აქვს ძირის თანხათ 600,000 მან. მას უკვე შეუძენია ბაქოში ხუთი ადგილი, გარდა ამისა საზოგადოებას განზრახვა აქვს იჯარით აიღოს ორი სხვა ადგილი, სულ 40 დესეტინა. (იგივე გაზ.)

სამინისტროში განზრახვა აქეთ შეადგინონ განსაკუთრებითი კომისია, რომლის საგანი იქნება განხილვა კითხვების შესახებ საერობო და სასამართლო რეფორმების შემოღებისა კავკასიაში.

კვირას, 11 ოქტომბერს, კავკასიის სამეურნეო საინჟინერატორო საზოგადოების დარბაზში მოხდება

წლიური კრება თფილისის სახალხო კითხვების კომისიისა. კრების საგანია განხილვა წლიური ანგარიშ-სა, კითხვების და ქართულ-რუსულ სახალხო წარმოდგენებისა და გამგეობის არჩევა.

ქუთაისიდან გვწევენ: წელს აქაურ სამეურნეო სასწავლებელში მისაღები ეგზემენები დაიწყო 23 და გათავთა 27 სექტემბერს. სკოლაში შემომსვლელთა რიცხვი წელს 43 იყო. აქედან მიიღეს: 5 შორაპნის მანდიდან, 8—ქუთაისის, 5—ოზურგეთის, 2—ლეჩხუმის, 1—კოტის 1—რაჭის, 4—ზუგდიდის, და 1—სენაკის, სულ—28. 11-ის განდიდატეათ არიან ჩანიშნული და ვინც სიღარიბის ან სსკა მიზეზის გამო სკოლას მიატოვებს, იმთ ადგილს ესენი დაიტკუნენ. მიღებულია რიცხვში 21 გლეხის შვილებია, 6—თავად-არსურის და ერთიც მოქალაქეა. აქედან მთელ სასულმწიფო საზღვრე მიიღეს მხოლოდ ორი (სუანი) და ექვსიც ნახევარ საზღვრე. ყოვლათ უსასწოთ ბეგრი დარჩა; იმათში ერთს დ. განიხილადე შეზინდა ყოველ თვიურათ 3 მან. და დანარჩენებსაც თუ არავინ დაესმარა პირველ წელიწადს მინც, სკოლას გარეშე დარჩებინ. საზოგადოთ სკოლაში უადგილობის გამო ბეგრნი მიუღებენი დარჩენ...

25 ამ თვეს აქ მოვიდა სამეურნეო სკოლის სამინისტროს მიერ გამოგზავნილი რევიზორი ბ. მქშირსკი, რომელიც ორ დღეს ათვლიერება სკოლას და ზოგიერთი სამეურნეო დარგებით ვერაფრათ დარჩა კმაყოფილი. როგორც ამბობენ რევიზორის მოსვლას ვერაფერი კაი შედეგი მოჰყვება ზოგიერთისთვის.

დ. ზესტაფონიდან გვწევენ: 27 სექ. მატარებლით ქუთაისში ს. თოფურის საჯანთყოფოში წაიღეს თავგამტკრეული და სულ-ჩამოკიდებული ბეს. საყვარელი. აი საქმე როგორ იყო: დ. ყვირილას ხსლოს მდ. აჯამურანზე კეთდება სიდი სოფლის ბეგარა მუშების ხელით. ამ მუშაობას თავდგურობდა მოქალაქე ჩარკვიანი, „არმიის პორუნიკი“, როგორც ის თავის თავს მოსწრებულათ უწოდებს. სსენებულ დღეს ბ. ჩარკვიანს თავის მკვირათ მუშების თავდგურობა მიუნდვია თავის სიძის ბეს. საყვარელიძისათვის, რომელსაც თავდგურობის დროს ერთ მომუშავესათვის ამყათ უბრძანებია: ჩონხა გაისადე და ისე იმუშავეო. მარა მას ეს მისი ბრძანება უუურადღებოთ დაუტოვებია. შეძლეც ის მუშებს მიუზატეია სადილათ. ნასადილეც ეს ერთი დღის „ბატონი“ სულ-ანლა მიუბრუნდა იმავე მუშას და შესტყვილა: „როგორ თუ შენ არ შემორჩილებია; შე დღეს აქ პრისტავის მკვირი ვარო“. ამ ჩემ საქმეს კი ვაკეთებ და შენ რას დაქმებ ჩონხა ჩანდული ვაკეთებ თუ უნახოთო, მიუგო მუშამ. ამის პასუხათ საყვარელიძემ უჩნ მუშას ორიოდ სასტყ უთავაზა. სისხლ-ამდგრეულ მუშამაც ეს გედარ მოითმინა, აიღო თონი და ძღ-



ზე სთხვამს თავში, მეორეც მძვავრს მკვავრე მოუ-  
ნაწვლა და იქვე ჩანარცხა. ამ საქმის გამოსამიებლათ მ-  
შინვე მოკიდა მასრის უფროსის თანაშემწე, რომლის  
გამომიება ბრალს დებს თვით „ამიის პარუხის“, რად-  
გან მასაც არა ერთხელ ჩაუდინია მატკარი საქციელი,  
მაგ. ერთხელ 70 წლის ბებერ მუშას ხმლის ტარით  
ტყმა ბაზარში.

ბაქა-ბადასხანიდან გვწერენ, რომ იქ ნ ენკენისთვეს  
გამართულ წარმადგენიდან წმინდა შამსაკალი დაჩე-  
ნილა 60 მან., რომელიც წინ-და-წინ განხრახულები-  
მებს რაზთ განიყოფა: ერთი ნაწილი აქაურ ქართულ  
ბიბლიათკა სამკითხველს მოხმარდება და მეორე ნა-  
წილი გაკეზავნება ერთ ქართველ მოსწავლეს.

„კვალის“ კორესპონდენციები.

**ბ.** პათომი. გაუმჯობესებულმა ტენიკამ დაათმო-  
ბინა ალაგა მოზრდილთ — მოზარდთათვის და  
გამოიწერა ბავშთა მუშაობა ქარხნებში. საკმა-  
რისია, რომელიმე ქარხნის კარებზე დადგეთ,  
ამ დაათვალიეროთ თვით ქარხანა, რომ მისცეთ  
თავის-თავს კითხვა: რა მდგომარეობაში უნდა იყოს  
ამათი ჭირისუფლები, ან რა უნდა გამოვიდეს ბოლო  
ხანს ამ ბავშებიდან? პირველზე უნდა მოგახსენოთ,  
უთუოთ სიღარიბე-გაჭირებებაში არიან, რომ მოუძუ-  
ლებიათ შეიღებო და ასე უპატრონოთ გადმოუყ-  
რიათ სახლიდან.


ქარხანაში მომუშავე ბავშვის წლოვანება 8 წლი-  
დან იწყება, უმეტესობა 9—10—11 წლისაა, შენე-  
დებით ისეთსაც ოთხ-ხუთი წელიწადია აქ ემუშაო-  
ბო გეტყვი, ტანით 8 წლის ბავშისოდენაა, წლო-  
ვანებით კი 13—14 წლისაა. განურჩევლათ წლო-  
ვანებისა, ქარხანაში სავალდებულოა დილის ექვსი  
საათიდან—სალამოს ექვს საათამდე მუშაობა, ზოგში  
მეტეც. (უკანასკნელს პატარა ქარხნები ეკუთნიან)  
ხსენებულ დროში სავალდებულოა საათ-ნახევრის  
დასვენება, ზოგი მექარხნე კი თავის ნებაზე ასვენებს.  
ამ ათ საათ ნახევრის (10 1/2) მუშაობის დროს ზოგი  
ფეხზე უნდა იდგეს, ზოგი კი მუდამ იჯდეს, აგრეთ-  
ვე აქვე უნდა ისაუზმოს. არიან ისეთი ბავშვები, რომ-  
მელნიც დილიდან-სალამომდე მოხარშულ ქიზაში  
(вислота) ისერებიან, ამათ უმეტესობას სიცოცხლის  
ელფერი აღარ აძევთ: პირი ჩამოყვითლებულ-ჩამომ-  
ქნარი აქეთ, თვალები ჩაღრმავებულ-ჩაშავებული,  
ყურები გათხლებული, ბაგე ჩატეტილი და ხელ  
ფეხი დამწვარივით გატრუსული. ნახავთ იმისთანაებ-  
საც ორი სამი თითიც აკლია ხელზე მანქანის შემ-

წეობით. თუმცა სავალდებულოა მუშის დახლევა,  
მარა ზოგ ქარხანაში ეს ვალდებულება მარტო ფორ-  
მალურათაა, განხორციელებაც რომ ისურვონ, საიმი-  
სო არა გამოდნება, რომ მერმე უზრუნველი იყოს  
დაზიანებული. ჰაერით თუ როგორი ექნებათ თქვენვე  
წარმოიდგენთ. აი ამ გვარ პირობებში უნდა იბრძო-  
ლოს ლუკმა პურისთვის მოზარდმა თაობამ. ახლა  
განვიხილოთ მათი ეკონომიური და ზნეობრივი მხა-  
რე. როდესაც ხსენებული ბავშვები სამუშეოვარზე მი-  
იღეს, წლოვანების შესადარათ ზნეობრივი მხარე რი-  
გიანი ჰქონდათ, ქარხანაში მუშაობა დაიწყეს თუ არა,  
ლანძღვა გინება ყოველ ენაზე ისწავლეს. ლანძღვა-  
გინებაში ძლიერ იწვრთნებიან, (აქვე ქარხანაში შენე-  
დებით მთავარ უფროსიდან დაწყებული უმცროს  
ნოქრამდე, რომ სულ იგინება და იგინება, ახალ  
მოსულ მუშას კიდევაც სწამს, რომ ეს ვაჭბატონები  
ლანძღვა-გინებაში ღებულობენ ჯამაგირსო)... აი, მკი-  
თხველო! ამ გვარ მდგომარეობა-აღზრდა და ცხოვრე-  
ბას შემდეგ თუ რა აღამიანები გამოვლენ ხსენებუ-  
ლი ბავშვები თითონვე წარმოიდგენთ და დასკვნაც  
თქვენვე გამოიყვანეთ. ამ გვარ ცხოვრებას შემდეგ,  
რომ ურიგო რამ ჩაიღინონ განა გასაკვირველია? განა  
ახი არ იქნება იმ ანდაზის ასრულება: „ცემა გმარ-  
თებს პატრონისა-რა ყრმა ნახო ავით ზრდილი“. რომ-  
მელ პატრონს უნდა უსაყვედუროს კაცმა, იმას რომ-  
მელსაც ათასი გაჭირვებისთვის თავი ვერ დაუხწევია,  
თუ იმ ბურჯებს, რომლებმაც არ იციან რით გავრ-  
თონ, კარკით თუ სმით? მარა, რას ვამბობ? ამისთვის  
ვის სცალია, აქ თავ-სატეხათ ის კმარა რაც სჭირთ,  
აქაურ „მოწინავე პირთა“ მეცადინეობა, მათი ფიქრი  
და ოცნება, ახალ თავზე, ახალ უფლებებზე, ჯამა-  
გირზე და ამისთანაებზე არის. საარჩევნო ასპარეზზე  
დიდი ბაქი-ბუქობაა, ხოლო აქაური მუშა-ხალხის  
მდგომარეობა ყველას ფეხებზე ჰკიდია.

მუშა ც—ი.

**ქიზიყი.** წელს ჩვენ სამრევლო სკოლის მოთა-  
ვეთ კარგი ამინდი დაუდგათ. უწმინდეს სინოდთან  
დაარსებულ სამოსწავლო საბჭომ კეთილის თვალით  
გადმოგვხედა და ჩვენ ქვეყანას უმოწყალობა ფული.  
ამ ნაწყალობ ფულებიდან მარტო სიღნაღის მაზრას  
3560 მან. შესხვდა. ფული ხომ დიდი ძალაა ახლან-  
დელ დროში და აქაც სკოლების დაარსებაში თავი-  
სი ძალა და მადლი გამოიჩინა. აქამდის თუ სულ  
ორი სკოლა იყო მაზრაში, ახლა ერთი ათათ გამ-  
რავლდა. სკოლები ბევრი გაგვიხსნეს ჩვენმა მეთვალ-  
ყურებმა, მაგრამ ყველა სკოლას რაღაც დაუთავებ-  
ლობა და დაუბოლოვება ეტყობა. ზოგან შენობაა  
საჭირო, ზოგან თვით მასწავლებელი, ხოლო სკო-





ლის მოწყობილება ხომ ყველგან ერთათ კოჭლობს. სკოლას ხსნიან გარეშე პირნი, სკოლების სათავეში დაყენებულნი, და ხალხი არაერთად დახმარებას არ კისრულობს. თითქოს ხალხი ეჭვის თვალით უცქერის, არ თანაუგრძნობს და არც უნდა რაიმე შემწეობა გაიმეტოს სკოლისთვის. თუმცა კი გლეხებში სწავლის სურვილი ძალიან აღიძრა, მას სწავლა უნდა, გრძნობს სწავლის საჭიროებას და სასწავლებლისთვის კი გროშიც არ ემეტება. რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზი ისევე სკოლებში უნდა მოეძებნოთ. სოფლის სკოლებმა თავის მასწავლებლებით არ გამართლეს თავის დანიშნულება. თუ გლეხს უსაყვედურებთ რატომ შეიღს არ ატარებ სკოლაშიო, ის მაშინათვე მოგახლით პასუხათ: შეძლება არა მაქვს დიდ სკოლაში გაწუროთნო შეიღი და ეს ჩვენი სკოლა კიდევ მარტო დროს დაკარგეა, აბა რომელმა ისწავლა რამე იქაო. არც ტყუის გლეხი. ჩვენ, ამ სტრიქონების დამწერს, ხშირათ შეგვხვედრია რომ სოფლის სკოლაში გამოვლილ ყმაწვილ კაცს დასტამბული ციფირი ვერ უცენია და ჩვენთვის უკითხავს, გამაგებინეთ ეს რა ნომერაო. ცნობის მოყვარეობით გვიკითხნია, იმათ სოფელში სასწავლებელი არის თუ არა? თუ არის რატომ არ ისწავლა? იმასაც გუფრფველათ მოუგია ჩვენთვის: სკოლა არის, ვიყავი კიდევაც სკოლაში, მაგრამ ვერა გვასწავდეს რა და არც ვიცით რამეო. დღეს ჩვენი სამრევლო სკოლების მზრუნველნიც არ ცდილობენ აცდენ ამ გზას სწავლაში. თუ ყველგან არა, მომეტებულ ნაწილათ მაინც ნიშნადენ მასწავლებლათ სკოლისთვის ყოელათ მოუმზადებელ, უფიც და გამოუცდელ პირთ, რამელთაც ხშირათ თვით ეჭირებათ მასწავლებელი და თვალ-ყურის დამჭერი. უფრო იმასაც ცდილობენ სკოლები რიცხვით გამარავლონ და იმის კეთილ მოწყობას და შესაფერ გამგეს შოვნას კი ცოტა ყურადღებას აქცევენ. თუმცა კი სჯობდა ცოტა სკოლა გაეხსნათ და რაგიანი, ორი მასწავლებლის ჯამაგირით ერთი მოეწეიათ შეგნებულნი, გამოცდილი და მომზადებული სწავლებისათვის. მკრე კი სკოლები თან-და-თან შეძლებისა და გვართათ გამარავლებინათ. მაშინ ორიოდ სამაგალითო სკოლა უფრო მეტ სარგებლობას მოიტანდა, ვიდრე დღეს თუნდა ყველა სოფელში გამართული სამრევლო სკოლა. რაკი სამაგალითო სკოლის კეთილ ნაყოფს დაინახადენ მეზობელ სოფლებზე, მაშინ ისინიც ეცდებოდენ თავის სოფელში დაეარსებინათ სასწავლებელი. და თუ თავის ხარჯით ყველა სოფელი ვერ შეძლებდა სკოლის შენახვას, დახმარებას კი შენობით, შემოთ, ბჭით და სხვა წერილობით არ დაიშურებდა. ამას თვალსაჩინოთ დაგვანახებებს თვით

სოფლების და სკოლების დაკვირება. მაგალითათ: ჯუგანში ერთი წლის წინეთ დაარსეს სკოლა, მასწავლებელიც სემენარიაში კურს დამთავრებული ყმაწვილი მოუედათ, ხალხმა აღუთქვა შენობის აშენება და აპირებდა კიდევაც შენობის დაწყებას. ეს მასწავლებელი ღელათ ეყურებდა და ახლა სხვა დაუნიშნეს. როგორც ნამდელათ გავიგეთ ხალხი შენობაზე უარს ამობს, ჩვენ აღარ ავაშენებთ რაკი კარგი მასწაველი მასწავლებელი არ მოგვიყადო ესევე გვესმის სხვა სოფლებშიაც, სადაც მასწავლებლათ შეუფერებელი, სულ უსუსური ყმაწვილები დაუნიშნაეთ. დროა ვისიც ჯერ არს მეტი ყურადღებით მოექცეს სასწავლებლების და სწავლების საქმეს. საქმეში თვით გული უნდა ჩაიდოს, თავათვე აიწონ დაწონოს და წინათვე გათვალისწინებული იყოს სარგებლობა, თორემ მარტო სახელის მოხვეჭა და ანგარიშების წერა ხალხს ცოდნას ვერ მოჰყენს და სწავლას ვერ შეაყვარებს.

ქ. სიღნაღი. ქიზიყელი იმერელი.

### ს ა ზ ლ ვ ა რ - გ ა რ ე თ

**ინგლისი.** მას შემდეგ რაც იტალიელ ანარქისტმა აესტრიის დედოფალი მოჰკლა, სახელმწიფოთა შორის ის აზრი აღიძრა, რომ საერთო ძალ-ღონით ვებრძოლოთ ანარქისტებსო. ამის შესახებ ჩქარა იქნება მოწვეული მთავრობათა კონფერენცია ერთათ ერთი ინგლისი თუ იქნება ამის წინააღმდეგი; მას არ სურს თავის ქვეყანაში რაიმე განსაკუთრებითი კანონი არსებობდეს ვინმეს შესახებ. ჯერ კიდევ 1872 წ. თხოვეს მას „ინტერნაციონალის“ (მუშათა საერთაშორისო კავშირი) წინააღმდეგ რაიმე ღონე ვიღონოთო და იქ გამოქცეული ინტერნაციონალისტნი ინგლისიდან განდევნეო. ამის პასუხათ ამავე წლის 22 თებერვალს ასეთი ნოტა გამოსცა: „დიდი ბრიტანიის კანონის ძალით ყველა უცხოელს შეუზღუდავი უფლება აქვს ინგლისის საზღვრებში შემოვიდეს და აქ დარჩეს. მის აქ მყოფობის დროს მას ვუცქერიოთ როგორც ბრიტანიის ქვეშევრდომს და არის კანონის მფარველობის ქვეშ... არც ერთი უცხოელის დატუსაღება და განდევნა არ შეიძლება, გარდა იმ შემთხვევებდა, როცა მას რაიმე სისხლის სამართლის დანაშაულობა მიუძღვის...“ აი ასეთი სტუმართმოყვარე ინგლისი და დიდათ საექვო ანარქისტთა წინააღმდეგ კონფერენციას მიემხროს. ამასთანავე, საყურადღებოა ის, რომ ამ ყველაზე უფრო თავისუფალ ქვეყანაში ყველაზე ნაკლები ანარქისტთა მოძრაობაა;



თუმცა იქ ძალიან ბევრი, ევროპიდან გაქცეული, ანარქისტა ცხოვრობს.

— ინგლისის მუშა-ხალხი ძალიან ადევნებს თვალ-ყურს მრეწველობის განვითარებას და მრეწველთა შემოსავალ-გასავალს. როგორც კი იმატებს კაპიტალისტის შემოსავალი, მაშინვე ქირის მომატებას თხოვენ. აი ამ ქვამთ ნახშირის ფასმა ტონზე (62 ფუთი) ერთა შილინგით მოიმატა, და აგრეთვე რაოდენობა გასაყიდი ნახშირის 181 მილიონ ტონიდან (1890 წ.) 202 მილიონ ტონზე ავიდა. ამის გამო მთა-მადნების მუშათა ორგანიზაციამ მადნების პატრონთ მოთხოვა ქირის აწევა, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშაობას შევაჩერებთო. პატრონები დათანხმდნ და 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> პროცენტი ქირა მოუმატეს და მით თავიდან აიცილეს ერთი უდიდესი გაფიცვა, რომელშიაც 300 ათას კაცს უნდა მიეღო მონაწილეობა.

— ინგლისის „სომეხთა მეგობარ საზოგადოებამ“ გასულ კვირაში მოახდინა წლიური კრება ქ. კარლიუში. კრების თავმჯდომარემ, პარლამენტის დეპუტატმა ბრაისმა, საზოგადოებას მოახსენა, რომ თავყრილობის მიზანია არა პოლიტიკური კითხვების გარჩევა, არამედ სომეხების ქვრივ-ობოლთათვის პატრონობის გაწევაო. ამ კითხვის შესახებ ბევრნირა გადაწყვეტილება მიიღეს, როგორც მაგ. ფულის შეკრება, თავშესაფარის გამართვა, სამუშაოს შოვნა ინგლისში გადმოსახლებულთა სომეხებისათვის და სხ. კრებამ გასტანა სამი დღე.

**საზრანგში.** დეკემბერს ამბავი მოაქვთ პარიჟის მუშათა გაფიცვის შესახებ. აი საქმე რაშია. მიწის მუშებმა და კალაჯოზებმა მოიჯარადრეთ მოთხოვეს იმ ქირის მიცემა, რაც საბჭოს მიერ დადგენილია, ე. ი. 60—75 სანტიმი საათში, ნაცვლათნ 0-60 სანტიმისა (5 სანტიმი=2 კაპ). იმ მუშებმა, რომლებიც ქალაქის მოიჯარადრებთან მუშაობენ, საბჭოს თხოვნით მიმართეს ამის შესახებ. საბჭომ მოიწოდა ორივე მხრის წარმომადგენელი, მარა მოიჯარადრენი ვერ დაითანხმა. მუშა-ხალხი ძალიან მფარველობას უწევს გაფიცულთ. მათ მხარეზეა თვით საბჭოც, რომელმაც გაფიცულთ 20 ათასი ფრანკი გაუგზავნა. მათ სხვა მუშებაც ეხმარებიან და მუშაობას აჩერებენ. ცნობილ „პატრიოტმა“ და დრეიფუსს დიდ მოწინააღმდეგემ პოლ დერულელმა გაფიცულთ ფული გაუგზავნა, მარა მათ ეს არ მიიღეს, რადგანაც „საექვო პირისაგან“ მომდინარეობსო.

— რა გავლენა აქვს მუშა-ხალხს დრეიფუსის საქმეზე შემდეგიდან ჩანს: სამინისტროს თავმჯდომარემ ბრისონმა მოიწვია პარიჟის მოურავი გაფიცულთა შესახებ მოსალაპარაკებლათ და სხვათა შორის ჰკითხა: „როგორ მიიღებენ პარიჟელი დრეიფუსის

საქმის ხელ-ახლათ გადაშინჯვას, მართლა რევოლიუციას მოახდენენ?“ ამაზე მოურავმა მიუგო: „თუ თქვენ ჩქარა მოახდენთ საქმის გადაშინჯვას, პარიჟელი კმაყოფილი დარჩებიან, თუ არ მოახდენთ, მაშინ კი რევოლიუცია ატყდებაო“. და ის იყო მეორე დღეს სამინისტრომ გადაწყვიტა, დრეიფუსის საქმე განხილულ იქმნასო.


**შერმანი.** პრუსიაში ამ ქვამთ გაცხარებული საარჩევნო აგიტაციაა. ამ ერთ თვეში უნდა აირჩიონ ლანდტაგის დეპუტატი. ამ არჩევანში მხოლოდ შეძლებულთ, განსაკუთრებით მემამულეთ, აქვთ ხმა. მუშა ხალხს წარმომადგენელი არასოდეს არ არჩეულა. ამიტომ ის მონაწილეობას არც კი იღებდა დღემდე, წელს კი ალაგ-ალაგ გადაწყვიტეს მონაწილეობა მიიღონ და რეაქციონერთა წინააღმდეგ ბურჟუაზიის მოწინავე პარტიებს მოეხმარონ. ეს მით უფრო საჭიროთ დაინახეს, რომ მემამულე—ახნაურობა თან-და-თან უკან უკან იწევა და რეაქციონულ გზას ადგება. მათი გამარჯვება ლანდტაგში — ეს პრუსიის ხალხის დაჯანებაა. პროფ. დელბრიუკი ასე ახასიათებს მათ მოძრაობას: „ის შეხედულობა, რომ თანამედროვე სენის განკურნება შესაძლებელია ეკლესიის უფროსობით, მეცნიერების თავისუფლების დათრგუნვით და პოლიციური ბორკილებით, პრუსიის პარლამენტში ვაბატონებას ჰფიქრობს“.

— გერმანიის თითქმის ყველა ქალაქებშია განსაკუთრებით დაწესებულება, რომლის საგანია მუშათათვის სამუშაოს მოძიება ან და მუშის მოძიება სამუშაოს მისაცემათ. ამას უწოდებენ „შრომის ცნობათა ბიუროს“ და წარმოებს ქალაქის ხარჯით. ბიუროები ერთმანეთთან დაკავშირებულია. წელს ქ. მიუნხენში გაიმართა ამათი წარმომადგენელთა წლიური კონგრესი. კონგრესი განხნა ბოვარის მინისტრმა. თავმჯდომარემ პირველათ ენერგიული პროტესტი განაცხადა წინააღმდეგ იმ კაპიტალისტთა საზოგადოებისა, რომელნიც თხოულობენ „შრომის ცნობათა ბიუროს“ ჩვენ განკარგულებას ქვეშ იმყოფებოდესო. კრებანზე დიდი კამათი გამოიწვია შემდეგ წინადადება: ბიუროთა კავშირმა უნდა იმეცადინოს სოფლის მეურნეობას საჭირო მუშა-ხელი მოუპოვოსო. ამისათვის საჭიროა: ქალაქის უსაქროთ დარჩენილ მუშებს სოფელში აუჩინონ სამუშაო; ქალაქის პატრონებმა უპირატესობა ქალაქის მუშებს მიანიჭონ ქირაობის დროს და არა სოფლადან ჩამოსულთ; სოფლის გახეტებმა მკითხველთ აუწყონ თუ სად რომელი ქალაქი მუშებით სავსეა და იქ წასვლა ფუჭია და სხ. ამ წინადადება ერთი დავიღარაბა ატეხა. მუშათა წარმომადგენელი ამბობდენ: ამ ზომებით მეურნეობას ერთ მუშასაც ვერ მიუყვანთ,





საქართველოს ენციკლოპედია



ინგლისის ხომალდები ქალაქ დუერის ნავსადგურში.

გ. ბიძია



სოფლის მუშის საზოგადო პირობები გაცილებით დაბლა დგას ვინემ ქალაქის მუშის, მას არ აქვს გაფიცვის უფლება, არ აქვს ხმა სოფლის სამართველოში, ის მონა-მორჩილია მემამულის და სოფლის მოხელეების, იღებს ძალიან ცოტა დღის ქირას და სხ. თუ ყველა ამას შეცვლით მაშინ სოფელსაც ეყოლება საჭირო მუშა-ხელი, თუარა ისე ლაპარაკიდან არაფერი არ გამოვა. ხანგრძლივ ბაასი შემდეგ კონგრესმა ხმის უმეტესობით წინადადება უარჰყო. დადგენილ იქმნა: შრომის პირობების სტატი-სტიკურათ გამოკვევა და გამოქვეყნება; შრომის ცნობათა ბიუროს გამრავლება და მისი უფლებების გაფართოება და სხ.

— შარშან ზაფხულს პრუსიაში მომხდარა 285 გაფიცვა, რაშიაც 25,398 მუშას მიუღია მონაწილეობა. მუშათა მოთხოვნილებათა 31 პროცენტი შესრულებულა, 32% შესრულებულა მხოლოდ რაოდენიმეთ, 33% სულ არ შესრულებულა, დანარჩენის ბედ-იღბალი არ იცინა.

**იტალია.** „შენიერი იტალია“ ცნობილია, როგორც უღარიბესი ქვეყანა ევროპაში. ამ სიღარიბის მრავალ მიზეზთა შორის, ერთი ისიც არის, რომ აქ დიდ-ძალი მალალი სამღვდლოებდაა. დასაელეთ ევროპას თავისი 155 მილიონი ქათოლიკეთი (იტალიას გარდა) 313 ეფისკოპოზი ჰყავს. ხოლო მართო იტალიას თავისი 29 მილიონი მცხოვრებით 315 ეფისკოპოზი ჰყავს. ამათში 37 აქვს 3175 თრანკი შემოსავალი წელიწადში (თითოს), 76 აქვს 7,500 ფრ., 70-ს 11,000-მდი, სხვებს 15 ათასამდე 45 ათასამდე, მხოლოდ 12-ის შემოსავალი 50 ათას გადაცილებს. სულ, ეფისკოპოზთა მთელი შემოსავალი 4 მილიონ ნახევარს აღემატება (4,600 000).

**ჩინეთი.** ჩინეთის გაზეთებმა უკვე მოაღწია ევროპაში და შეიცავენ მრავალ ცნობებს უკანასკნელ სახელმწიფო ცვლილებების შესახებ. ჩინეთის ახალ-გაზდა მეფე ძალიან მონდომებული ყოფილა, რაც შეიძლება ჩქარა გაეფეროპიელებია ქვეყანა. მოუთმენლათ ელოდა თავის რეფორმების ცხოვრებაში გატარებას. მარა რადგანაც ასე უცებ სკოლების გაერცლება შეუძლებელ იყო, ბრძანება გასცა ჩინეთის ყველა ტაძარი სკოლათ აქციეთო. ეს, რასაკვირველია, თავის თავათ დიდ რეფორმას არ შეიცავს, წინეთაც უსწავლებიათ ტაძრებში ჩინეთის ბრძენთა მოძღვრება. მარა ახლა რეფორმა შეეხებოდა თვით ამ მოძღვრების შეცვლას: „ასწავლეთ დასაელეთის მეცნიერებამ“ — აცხადებდა მეფე. გარდა ამისა მოხელეთა ხარისხის მისაღებ ეგზამენებს სასტიკათ მოეკიდა, გამოსაცდელი საგნები და თვით დასაწერი ტემებიც თითონ დაადგინა. გამოცდის უმთავრესი საკანი — ლა-

მაზი წერა - მეორე ხარისხოვან საგნათ აღიარა დასწყველა ამან დიდათ ააღელვა არისტოკრატია და უმაღლესი მოხელენი. და ის იყო მეფე ჩამოაბრძანეს ტახტიდან. უმთავრესი რეფორმატორი, მეფის მრჩეველი კან-იუმი, ინგლისს თხოვა დახმარებას მეფის ხელ-ახლა ტახტზე ასაყვანათ და რეფორმების გასატარებლათ. ის ამბობს, რომ ხალხი მომხრეა რეფორმების, რასაც სხვა და-სხვა პროვინციის არეულობები აბტკიცებენო. ეს თავდაუებული რეფორმატორი ამჟამათ 40 წლისაა. სწავლა მიიღო ჩინეთშივე და ითვლება დიდ სწავლულ კაცათ. ათი წლის წინეთ მოვიდა პეკინში და მეფეს და ქერივე დედოფალს ურჩევდა რეფორმების შემოღებას, მარა არც ერთმა ყურადღება არ მიაქციეს. მხოლოდ ამ უკანასკნელათ ის ხელ-ახლა წარუდგა მეფეს, დაუხასიათა ჩინეთის მდგომარეობა და მოაგონა თავისი რჩევა. მეფეს ეს მოეწონა, ამას მოჰყვა რეფორმები და ბოლოს სასახლის რეეოლიუცია. კან-იუმი გაქცეულია, ხოლო მისი მეგობრები და ახლობელნი სიკვდილით დასაჯეს.

**ბაზარი.** ფუთი ჩვენებური სიმინდი ლონდონში ღირს 15 კაპ.

პარკის ფასები იგივეა, მარა ლიონის ხაქოვ ფაბრიკებში ვერ არის ისეთი გაცხარებული მუშაობა, როგორც წინეთ იყო. უქვევლია ამას ვაფლენა ენება პარკის მოთხოვნ-ლებახედაც.

ჩვენი დროის არმაზი.



...ქანდათ შიში და რიდი  
ქანდაკის ძლიერების...  
აკაჟი.

რისხანებით გამოპზინაღს,  
თავ-მოჭედიღს, შუქ-მფინარეს,  
სულ-სმლიანსა, უსულ-გულას,  
გარეგნობით მოელგარეს,  
ძველათ ჩვენი წინაპრები  
თაუჯანს ცემდენ არმაზ გეშას,  
შიშით, კრძალვით ეპურაბოდენ  
და წინაკდენ ზგარაკ-მსსუკრძლას!  
მისთვის თისზაკდენ საგალობლებს,  
მისგან ნუგემ-შიქედობდენ,  
მუხლთ იყრდენ მის წინაშე,  
სხნას და შველას იმას თხოვდენ!  
თავის სასო გეკრძისათვის



ბოძონ-სადღეს სქენებდენ,  
 მას უგმეოდენ ძვირფას გუნდრუს,  
 ადიდებდენ და აქებდენ...  
 გადიდებდენ თვე და წლები  
 თავის წესით, შეუწყველათ  
 და ხალხს გერძის ძლიერება  
 ან მიახნდა საეჭვო.  
 მაგრამ ბოლოს რა გაბრწყინდა,  
 დრომაც იერი შეიცვალა  
 და აზმასაც ხალხის თვალში  
 დაეკარგა თვისი ძალა.  
 მძინარე ხალხს გაეღვიძა,  
 იგრძნო გერძის ცბიერება  
 და შემუსრს სამუდამოთ  
 მან იმისი ძლიერება.

წარბ-გაუხსნელს, შუბლ-შეკრულს,  
 ჩათუქრებით მიძობავალს,  
 მატყუარას გარკებრებით,  
 სამწუნაროთ, ვხელავ მჩაველს!  
 ქუჩა-მოსსმული მატყარსათ  
 ის შესაფერ სიტყვებს ჩაჩხავს  
 და ბრბოს, აბა, სხვა რა უნდა  
 კაცის ტანზე „ქუჩის“ თუ ნასავს?!  
 მისგან ძმწიან საბრალდანი,  
 მას აქებენ, ადიდებენ,  
 მუხლთ იერიან მის წინაშე,  
 მოწილვებს უცხადებენ!..  
 მასში ხალხი უსინათლო  
 თავის მხსნელს და შემწეს სედავს  
 და ერთიან იმ ვაჟბატონს  
 უკუ-თქმას ვერ გაუბედავს!  
 გარკებრებით, ცბიერებით  
 იგი ისუკვს ხალხში ძაღვს;  
 თავ-დადებულ ქვეყნის მშრომელს  
 ის უძახის მჩინჩაღვს!!  
 სხვისთვის არჩას გააკეთებს,  
 გაკეთებულს კიდევ წუნობს...  
 ერთი სიტყვით, ამ ცხვირის ტყავში  
 დიდი მგელი მამურობს!..  
 უსულ-გულთ უზნობრით  
 მე ის ძველ გერძს მომაგონებს;  
 არმაზია ჩვენი დროის!  
 ეს მარწუხებს, ეს მადონებს...  
 და ჯერ ღმერთს ვითხოვ, ამგვარ ვაგროს  
 დაბადება გაკვირვებოს  
 და, რაც ჩნის, მისი რიცხვით  
 შეგვიმოკლავს, დაგვიმტვირთავს;  
 და შენე კი—გონებითა

განათლეს ჩვენი ერი,  
 რომ შემუსრეს მან ცხვირის ტყავში  
 გასვეული მავნე-მტერი!..

დ. თამაშვილი.

კავკასიის მეორე საბაღონო გამოფენა  
 თფილისში.

რადგანაც კავკასიის I საბაღონო გამოფენაში სსვა-  
 და-სსვა გარემოების გამო ვერ მიიღეს მონაწილეობა  
 ჩვენი ქვეყნის შემამულებმა, რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ  
 საბაღონო საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ და-  
 დგინა გამართოს წელს კავკასიის II საბაღონო ნაწარ-  
 მების გამოფენა და შეაღწა გრება. გრების საგნებს  
 შეადგენს შემდეგი კითხვები: 1) ბაღ-ბაღჩეულობა ვა-  
 ვასიაში, 2) ხილეულობის გაშენება, 3) დეკორატიული  
 ბაღონობა, 4) ძვირფას მცენარეების გაშენება კავკასია-  
 ში, 5) მკვანძობა და მელვინობა, 6) საშუალებანი  
 წინააღმდეგ ბაღონობის სსვა-და-სსვა მავნე მწერებისა,  
 7) გახმობა და შემუშავება სილეულობისა და მწვანე-  
 ულობის, 8) თაფლის მომცემ მცენარეების გაშენება და  
 მეფეუტვრობა, 9) ბუფლის (თუთის) გაშენება და მ-  
 ბრეშუმობა, 10) ხალხში ბაღონობის გავრცელება.  
 გრების სსვამები განიყოფება სამ სესიათ: 1 სესიას  
 შეადგენს 5 კითხვა შესსება ბაღონობისა. 2 სესიას—  
 მეფეუტვრობა, 3 სესიას მებრეშუმობა. ამ სესიაში იქ-  
 ნება განსილეული შემდეგი კითხვები: მებრეშუმობის გაუ-  
 მჯობესობა კავკასიაში; ადგილობრივი ცელულოზური  
 გრების (აბრეშუმის თესლი) გავრცელება კავკასიაში, რა  
 და რა ზომები უნდა იქნეს შემოღებული კავკასიაში  
 უცხოეთიდან გვასა გრების შემოტანის წინააღმდეგ. ამ  
 კითხვების განსხილველათ მოწვეულნი არიან, რეგორც  
 მეთესლები აგრეთვე მარკების მუიდეულები ქუთაისის, განჯის,  
 ერევნის და ზაქათლის გუბერნიებიდან და ჩვენი მებრე-  
 შუმეთა ამხანაგობის მმართველები: ბ. ნ. წერეთელი და  
 ს. ტეიშვილი. ჯერ ჯერობით გრების ბიუროში წარმოდ-  
 გნილია სულ 30 მოხსენება სსვა-და-სსვა კითხვების  
 შესსება. გრების და გამოფენის დროს წაიკითხვენ ლექ-  
 ციებს შემდეგი შინა: სასოფლო მეურნეობის ინსპექ-  
 ტორი გ. გვეგია წაიკითხავს ვაზის სსალი ავთიმე-  
 თობის შესსება, გ. ი. ლინკესვი—ტყის გაშენების შე-  
 სსება მითან ალაგბში; გ. პ. ივანოვი, აბრეშუმის ძაფის  
 გამოხარშვა-შეღების შესსება და ფ. ვ. ტუჩინსვი—სი-  
 ლეულობის და მწვანელების გახმობის შესსება და სსვა-  
 და-სსვა. გარდა ამის გამართული იქნება დემონსტრაცი-  
 ღვინის ეგრობილათ დამზადების; დამეგნა, სსვა-და-სსვა  
 თესლეულობის დამზადება; ვაზის ექიმობა და სსვა-და-  
 სსვა. გრება და გამოფენა განისსება დღეს, 4 ოქტომ-



ბეკს და გასტანს 20 ოქტომბრამდე. რაგორც გამოაგონა ისე კრება ძლიერ სანტიკრესო და სასარგებლო იქნება ჩვენი შემამულებელთათვის, რადგანაც გამოაგონაში მოხაწილუბას იღებენ სამხრეთ-ჩრდეთის, უიკიმის და ჩდილოეთ-კავკასიის საუკეთესო სიდეკულებს ჰატრონები და თესლეულებს ფიქშიები; ყველაში უწყის, რომ გამოაგონაში უფრო სამიდელო სასარგებლოს და თესლეულებს შეიქნება ვიდრე სხვა დროს და სხვა ადგილს. ამისათვის ვურჩევთ ჩვენ შემამულებელს დაესწონნ გამოაგონას და კრებას ან მოაწადინონ კრებას თავისი მოსახრება ზოგიერთ ზეგით დასახელებულ კითხვების შესახებ.

ი. ქ - ძე.

P. S. პდონსობის გამოაგონაში შესულის ფასია 20 კაპეიკი. მოწაფეების (ფორმისში) და მათ ზედამხედველთათვის უფასოთ. კრების საწყვერო ფული რაზი მანეთია.

### კრიტიკული შენიშვნები.

(„ცისკარა“ მაამბე 98 წ. № II, III და IV.)

ღ-მა კიტა აბამიძემ ალ. ჭავჭავაძის ვარჩევის დროს ეს პოეტი თითქმის გენიოსათ დასახა და ფრიად საპატიო ალაგი დაუთმო მას ქართულ ლიტერატურაში. შეიძლება ალ. ჭავჭავაძე მეტი ნიჭის პატრონიც იყოს, ვიდრე მის კრიტიკოსს მიაჩნია, მაგრამ რომ მას საპატიო ალაგი ეჭიროს ჩვენ ლიტერატურაში, ამაში ვერ დავრწმუნდებით. ხელოვნება, როგორც ყოველ გვარი მეცნიერება, ცხოვრებისათვის არის გაჩენილი, და ვინც ცხოვრებას და ხელოვნებას ერთმანეთს არ უკავშირებს, ის ამა თუ იმ მწერლის მოღვაწეობას ჭეშმარიტ სჯავრს თავის დღეში ვერ დასდებს. ყოველი მწერლის დასაფასებლათ უპირველესათ მისი ნიჭის აწონ-დაწონვა კი არ არის საჭირო, არამედ იმ სარგებლობის, რომელიც მას საზოგადოებისათვის მოუტანია. იქნება უკანასკნელი იდიოტი მარსზე ჩვენი დედა-მიწის გენიოსთან შედარებით ბრძენთა ბრძენი იყოს, მაგრამ ჩვენთვის ეს სრულიად უმნიშვნელოა და ფას მოკლებული. რა საყურადღებოა ჩვენთვის ამა თუ იმ პირის ნიჭი—აღექსანდრე ერქმევა მას თუ გოგია, თუ მისი ნიჭი საზოგადოებისთვის სრულიად უსარგებლოა; ცარიელი ნიჭი არც ქების ღირსია, არც დიდების; სადიდებელია მხოლოდ ის ნიჭი, რომელსაც თანამედროვე საზოგადოებისათვის გულწრფელი სამსახური გაუწევია. ვინც საზოგადოებას არ არგია, თუნდა ნიჭის მაღალიც იყოს, ქების ღირსი კი არა, თუ გნებავთ, კიცხვის ღირსია, რადგანაც უბრალო მომაცდევანით უმნიშვნელოთ ჩაიარა. რასაკვირველია, კრიტიკოსს

შეუძლია თავი შეიყოლიოს და მარტო ნიჭის მიხედვით ლიტერატურული კლასიფიკაციები შექმნას, მაგრამ ჩვენის აზრით, ასეთ კლასიფიკაციებს ამა თუ იმ მწერლის დასაფასებლათ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ნიჭი ბევრ გვარია, ხოლო უმრავლესობისათვის ყოველგვარი ნიჭი არ არის სასარგებლო; მკითხველისათვის კი მხოლოდ სასარგებლო ნიჭსა აქვს ფასი და მნიშვნელობა. ამიტომ კრიტიკოსმა ჯერ ის უნდა გამოარკვიოს, თუ რა სამსახური გაუწია მწერალმა თანამედროვე საზოგადოებას, და ამას შემდეგ თავის თავათ ცხადი იქნება, თუ რა ნიჭის პატრონი იყო ის. დაგვანახოს კრიტიკოსმა, რა სარგებლობა მოუტანა ალ. ჭავჭავაძემ მაშინდელ ქართველობას, და მაშინ ვცემთ ამ პოეტს ღირსეულ პატივს, მაშინ ვადიდებთ მის ნიჭს, უამისოთ კი ბ-ნ კიტას განაჩენს ხელს ვერ მოვაწერთ.—რას ამბობ? მან ხომ სიყვარული ისე სავსებით გამოხატა, რომ ამ მხრივ სხვა ჩვენ პოეტებს აღარაფერი დაუტოვაო, მიპასუხებს ზოგიერთი მკითხველი.—რა ვუყოთ, ჩემო მკითხველო, შენ რომ ვარღულობულს უგალობო, თუნდა ციური ხმითაც, ამით ცხოვრებას ვერაფერს გაუადვილებ, გონებას ვერაფერს მისცემ, და თუ შენ ცხოვრების ბუდეთ სიყვარული მიგაჩნია, შენი გემოვნება იმას სრულიადაც არ ამტკიცებს, რომ დიადი ჭეშმარიტების მქადაგებელი იყო. ჩვენ აქ ალ. ჭავჭავაძის შესახებ სრულიადაც არ გვსურდა საუბარი, ხოლო ამდენი თუ ვილაპარაკეთ, იმიტომ რომ მკითხველისათვის დაგვეჩვენებია, რას ვეძებთ ჩვენ ყოველი მწერლის ნაწარმოებში, რისთვის ვაფასებთ ყოველ მწერალს. ჩვენის აზრით კრიტიკის მიზანს იმისი კვლევა კი არ უნდა შეადგენდეს, თუ ვის მეტი ნიჭი აქვს, ვის ნაკლები, არამედ ის, თუ რა არის მკითხველისათვის საყურადღებო და სასარგებლო ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოებში. სხვა-და-სხვა შეხედულების, სხვა-და-სხვა კლასის წარმომადგენელი სარგებლობას სხვა-და-სხვა საზომით ზომავს: ლოთს სამიკიტნოსთანა სასარგებლო დაწესებულებათ არაფერი არ მიაჩნია; მდიდარ ბურჟუას რომ ჰკითხვოთ, ყოველიფერი, რაც კი მას ასიამოვნებს, ფრიად სასარგებლოა; ქალაქის მოთამაშე ფიქრობს: ბანქო და ბილიარდი რომ არ მოეგონებიათ, ცხოვრება ჩირათ არ ეღირებოდაო და სხვ. ამიტომ მასაც განმარტება ეჭირება, თუ როგორ გვესმის სარგებლობა, თორემ ყოველი უმსგავსო და უხეირო ლექსის დამწერი ქება დიდების ღირსი გამოდგება, რადგანაც შეუძლებელია, რომ არავის მოეწონოს, არავინ ასიამოვნოს. ყოველ გვარ მეცნიერებას ორგვარი მიზანი აქვს: ან პრაქტიკული, ან თეორიული; პრაქტიკული მეცნიერება გვიადვილებს ცხოვრებას, არ-



სებობისათვის ბრძოლაში საჭირო ცოდნასა და იარაღს გვაძლევს — ამიტომაც სასარგებლოა. თეორიული მიზნის მიმდევარი მეცნიერება თუმცა ჩვენ კუქს არ ემსახურება, მაგრამ ის ჩვენ სულიერ მხარეს წრთენის, მსოფლიო შეხედულებას გვაძლევს, — და ამით მასაც დიდი სარგებლობა მოაქვს ადამიანისათვის, რადგანაც მაძლარ კუქთან საფე თაფიც გაცილებით უმჯობესია, ვიდრე მაძლარ კუქზე ცარიელი თაფი. ყოველივე, რაც რომ პრაქტიკულ ან თეორიულ მიზანს არ ემსახურება, — უსარგებლოა; ამიტომ ყოველი მწერალი, პოეტი იქნება ის თუ ბელეტრისტი ან პრაქტიკულ მიზანს უნდა ემსახურებოდეს ან თეორიულს, თუ უნდა, რომ მკითხველს საზოგადოებას სარგებლობა მოუტანოს და არ დაემზგავსოს იმ ვასტრონომს, რომელიც ცდილობს, სტუმარს გემრიელი საჭმელით გაუმასპინძლდეს, და, არც თუ აენებს, ამას არ დაგიღვესთ. როდის შეუძლია მწერალს ორივე ამ მიზნის ან ერთი მათგანის განხორციელება? მხოლოდ მაშინ, როცა ის თავის კალმით თანამედროვე ცხოვრებას გეხატავს: მთელ მარადსობაში. ადამიანს მხოლოდ ერთხელ აქვს მონიჭებული სიცოცხლე და თუ ის ცდილობს საუკეთესოთ ისარგებლოს ამ დროით და, რაც შეიძლება, ბედნიერათ მოაწყოს და გაატაროს თავისი ცხოვრება ამ გვარ მისწრაფებაში, საღი გონება მას ვერ დაძახნავს. რამდენიც უნდა უქადაგოთ მას, საიქიოსათვის იზრუნე, საქაო ამაოება არისო, ამ გვარ ქადაგებას არც მნიშვნელობა ექნება, არც რაიმე შედეგი მოჰყვება უმრავლესობისათვის: ადამიანს უპირველესათ ცხოვრება უნდა და ათასი ღრმა სარწმუნოებრივი რწმენით იყოს გასკვალული, პირველ საზრუნავათ მისთვის სიცოცხლე, ხორციელი მხარე იქნება. საქმეც იმაშია, რომ ადამიანი დედა მიწის ზურგზე მარტო ერთი არ არის; ყველას ცხოვრება უნდა, ყველა ბედნიერებისაკენ მიისწრაფის; ადამიანებს შორის დამოკიდებულება მეტათ რთულია, სხვადასხვა პარების ინტერესები ერთმანეთს ეღობებიან, ცხოვრება თან-და თან ძნელდება და ამიტომ მისი ბედნიერათ მოწყობა თითქმის შეუძლებელი ხდება. აი აქ ხდება საჭირო ცხოვრების, მისი კანონების, შეგნება, აქ ირკვევა ყოველი მწერლის დანიშნულება, თუ ორგანიზმის ზრდა-განვითარება მჭიდრო ბუნებრივ კანონებს ექვემდებარება, საზოგადოებრივ ცხოვრებასაც თავისივე კანონები განაგებენ, რომლებიც ბუნებრივი არიან და უტყუარა, რადგანაც მათი შეცვლა ჩვენ ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული. როგორც ორგანიზმ ბუნებაში არსებობს შეუჩერებელი ცვალებადობა — ევოლიუცია, ისე საზოგადოებრივი ცხოვრებაც ევოლიუციის გზაზე

მიდის, მაგრამ ეს ევოლიუცია იმდენათ დახლოებულია, რომ მისი გარჩევა, ნათლათ დანახვა უმრავლესობისათვის შეუძლებელია; დანახვა კი მეტათ საჭიროა. როცა ადამიანი ცხოვრების მიმდინარეობას იცნობს, მაშინ თავის საკუთარ ცხოვრებასაც უფრო აზრიანათ მოაწყობს, შეეკუება პირობებს და არსებობისათვის ბრძოლას გაიადვილებს; თუ მას ცხოვრების მსვლელობა არ ესმის ყოველთვის დამარცხებული დარჩება. მაგალითი თუ გნებავს, მკითხველო, ვადავლე თვალი ჩვენ თავადობას და დანიხავ: მცირე ნაწილმა, რომელმაც მემკვიდრეობითი ტრადიციები მოიცილა და ცხოვრებას ჩაუყვირა, თუ თავისი გამჭრიახობათ, თუ სხვისი დახმარებით, შეამჩნია, რომ ევოლიუციის გზაზე ცხოვრებამ იმხელა მანძილი გაიარა, რომ საზოგადოებრივი განწყობილების ძველი ფორმები დროს გადასული, უფარვისი ვახდენ, მათ ნიადაგი გამოეცალა, ირღვევიან და მათ აღავას ახალი ფორმების საძირკველები იყრება. ამ ნაწილმა მყისვე უკუაგდო მამა-პაპური მხარეთმცხე ნებეირობა და მედიდურობა, თავისი მოქმედება ახალ მოთხოვნილებას, ახალ პირობებს შეუფარდა და ჩაება ისე ცხოვრებაში, რომ გამარჯვებული დარჩეს. თავადობის უმრავლესობა კი, რომელსაც ახალი ცხოვრების მოთხოვნილება ვერ შეუკნია, ძველებურათ მოფთხნილია ყელმოღერებული მამა-პაპურ ტახტზე და, თუმცა ქონებრივათ და გონებრივათ გალატაკებულია, მაინც არხინათ გაიძახის: რის ფლაფი, რის ბოზბაში, ვინა თქვა ცხოვრება შეიცვალაო? როგორც ჩვენ მამებს უწირავთ, ჩვენც ისე უნდა ეწიროთო. ექვს ვარეშეა, ამისთანა პარებს დამარცხება მოეღის; ცხოვრებამ კომპრომისები არ იცის, ის იცვლება, წინ მიდის და ადამიანს ეუბნება: შენც შეიცვალე, უკან გამომყევი, შემეგუე, თორემ შთაგნთქეო. სამწუხაროთ კაცობრიობის უმეტესობა ჩვენ თავადობას წააგავს: მას არ შეუძლია სხვის დაუმხარებლათ იმისი დანახვა და ამოკითხვა, თუ რას შლის ცხოვრება თავის ფურცლებზე და რას წერს. აი სწორეთ აქ ხდება საჭირო მწერალიც. ყოველი მწერალი, პუბლიცისტი იქნება თუ ბელეტრისტი, მოვალეა, ცხოვრებას ჩაუყვირდეს, აღბეჭდოს ის ცვლილებები, რომლებსაც სხვები ვერ ხედავენ, აუწყოს ეს ამა თუ იმ ფორმით სხვებს და უთხრას: აი ცხოვრება დღეს როგორია, საითკენ მიისწრაფისო. თუ შესაფერ იარაღზედაც მიუთითებს ცხოვრებაში გასამარჯვებლათ, ხომ კარგი, თუ არა მისი მოვალეობა მაინც ასრულებული იქნება: მან დანახვა მკითხველს ცხოვრების მიმდინარეობა, უჩვენა, საით არის ხსნა, საით დაღუპვა, დანარჩენი კი მკითხველის ნებაა. რამდენ



ნათაც უფრო ზედმიწევნით და ღრმად ხედავს მწერალი ცხოვრების მთავარ მომენტებს, მით უფრო ნიჭიერია, მით უფრო ღრმა კვალს ტოვებს და ამგვარი მიმართულების მწერალი სამუდამოთ უკვდავი ხდება. მეორე მხრივ რა ნიჭის მქონეც უნდა იყოს მწერალი, რომელიც თანამედროვე ცხოვრებას გაურბის, მას არ უთვალისწინებს საზოგადოებას, ის ცხოვრებას ვერაფრით არ კვალს ვერ დაამჩნევს და მისი ღირსეული და სამართლიანი ჯილდო დაეიწყება იქნება. თუ გადავხედო, მკითხველო, ჩვენი ამ საუკუნის მწერლებს თვალს, დაინახე, რომ უმეტესი მათგანი სრულიად უსარგებლონი იყვენ თანაქედროვე ქართველობისათვის: ზოგი წარსულს გლოვდა, ზოგი ვარდს უყვებდა, აწყო ცხოვრება კი უარყოფილი იყო. რაც უნდა გვარწმუნოს ბ. კიტამ: ჩვენ ქება-დიდებას ვერ ვუძღვნივთ გრ. ორბელიანს მხოლოდ მისთვის, რომ მას ბუნების აღწერაში დიდი ნიჭი ჰქონდა. შატობრიანისთანა ბუნების მხატვარი ძვირათ დაიბადება, მაგრამ საფრანგეთის ახალგაზდა კრიტიკოსები თითქმის სრულიად უარყოფენ მის მნიშვნელობას ცხოვრებისათვის. გოგოლი საუცხოველ ბუნების მხატვარი იყო, მაგრამ თანამედროვე ცხოვრებას რომ არ ალებებდა მის მაღლიან კალამს. ის დღეს მკვდარი იქნებოდა, როგორც ფეტი, რომელიც გვარიანი ნიჭის პატრონი იყო, მაგრამ როგორც უსარგებლო პოეტი, დღეს მთელი რუსეთისაგან დაეიწყებულა. — ესტეტიკა? ესტეტიკა? წამოიძახებ მკითხველო. — უსაქმურსა და მუქთახორას ცარიელი ესტეტიკა ყოველიფერს ურჩევნია, მაგრამ ჭეშმარიტი ლიტერატურა ამგვარ პირებისათვის სრულიად არ არის დანიშნული.

ივ. გომაჩაყელი.

(შემდეგი იქნება)

### წერილი საფრანგეთიდან.

წერილის საქმის გამო. სწორეთ რომ ძნელი ასაწერია ის აზრთ ახევა, თვალთ ახევა, შვოთვა და ლელვა, რომელიც ახლა საფრანგეთში სუფევს. დიდი და პატარა, ნასწავლი და უსწავლელი — ყველა ერთ საგანს გაუტაცნია, ყველგან ერთი და იგივე სალაპარაკო ტემაა. სადაც უნდა შეჩვიდეთ, დრეიფუსის საქმის შესახებ გესმისთ ლაპარაკი; დაელაპარაკებით ვისმე და მესამე სიტყვიდანვე უთუოთ დრეიფუსის საქმის შესახებ დაგირჩებათ საუბარი. და მიუხედავთ იმასა, რომ „კვალში“ ამ საქმის შესახებ წერილები იყო, ჩვენ ვესურს ორიოდ სიტყვა კიდევ ვთქვათ და მკითხველებს გავაცნოთ მოკლეთ მისი შინაარსი, მით უმეტეს რომ ამ ბოლო ხანებში ამ საქმეს ბევრი მართლა რომ შემადრწუნებელი ფაქტების გამოაშკარაება მოჰყვა, და ლამის არის ეროვ-

ნულ ღრამთ გადაიქცეს და საერთო სისხლის დრეიფუსისათვის გათავდეს.

დრეიფუსის დასჯას შემდეგ 1894 წ., რომელსაც სამშობლოს ღალატი ბრალდებოდა, საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გავრცელდა, რომ ის დამნაშავე არ უნდა ყოფილიყოსო. ასეთი აზრის დაბადებას და თან მის გავრცელებას ხელი შეუწყოა ორმა გარემოებამ: პირველათ, დრეიფუსის საქციელმა და მისმა თავის დაჭერამ, როდესაც მას ღირსებას ხდიდნ და თავზე ხმაღს ატეხდნ, როგორც უღირსს მისი ტარებისას; ის გაბელულათ შეჰყურებდა ხალხს და თან გაიძახოდა: მე უღანაშაულო ვარ, გაუმარჯოს საფრანგეთსაო!.. და მეორეთ და უმთავრესათ კი იმიტომ, რომ დრეიფუსს ჩინებული კარიერა ჰქონდა წინ; თვით ელზასელი იყო და მაშასადამე ნემცების წინააღმდეგი, მასთან მდიდარი — მილიონერი. როდესაც ვინმე რაივე ბოროტებას ჩადენს, ამის მიზეზს მის არსებობის ნივთიერ პირობებში ეძებენ, და ამიტომაც არის, რომ სისხლის სამართლის წესდებულებაში ჭეშმარიტებათ არის აღიარებული: თუ გსურს მიაგნო ბოროტ-მოქმედს, გაითვალისწინე ეს და ის საქმე ვისთვის უფრო ხელ-საყრელი და სასარგებლო იქნებოდა...

ასე რომ ეჭვი დრეიფუსის დანაშაულობის შესახებ თან-და-თან იზრდებოდა. ხოლო ამავე დროს ერთი აფიცერი, რომელიც დრეიფუსის საქმის გარჩევას დაესწრო, როგორც წარმომადგენელი სამხედრო მინისტრისა, და რომელსაც რამდენსავე ხანს შემდეგ ჩააბარეს თვით ბიურო საიდუმლო ცნობათა შეკრებისა, ეძებდა ნამდვილ დამნაშავეს, რადგან დრეიფუსი მისი აზრით უკანონოთ დასჯილი იყო. ეს კაცი იყო პოლ-კოენიკი პიკარი. 1896 წელში პიკარს ხელში ჩაუვარდა ერთი პატარა წერილი ბევრნაირათ დაკუწულ-დახეული. ეს წერილი მოდიოდა იმ წყაროდან, საიდანაც — ბორდერო. პიკარს ამ წერილის ნახევები ერთი მეორეზე მიუწებებინებია და ამგვარათ წაუკითხავს. წერილი იყო მაიორი ესტერპაზის სახელზე და რადგანაც ცისფერ ქაღალდზე იყო დაწერილი დაარქვეს „პატარა ცისფერი“ — petit bleu. თავის თავათ ამ წერილის შინაარსი აჩაფერია — რადგან წერილს მომწერი ეკითხება მას, (ესტერპაზის) ამა თუ იმ საეაქრო სახლთან საქმის დაჭერა თუ შეიძლება მაცნობე წერილობითო. მაგრამ ეს წერილი გერმანიის საელჩოსაგან მოდიოდა, და ამტკიცებდა რომ ესტერპაზის საქვეო კავშირი ჰქონდა მასთან. პიკარმა გამოძიებას მოჰკიდა ხელი, მან ეს შეადარა ესტერპაზის ნაწერ ბორდეროს და ნახა რომ მზგავსება „საოცარა“, როგორც ეს თვით ესტერპაზიმ აღიარა. უფროსებიც ამხნევებდნ პიკარს ამ საქმეში და თან ჭკუით მოქცევას ურჩევდნ. ისინი ფიქრობდნ, რომ დრეიფუსს გარდაც ყოფილა მოღალატეო. ხოლო როდესაც გაიგეს, რომ პიკარის გამოძიებამ ისეთი მიმართულება მიიღო, რომ ესტერპაზის დამნაშაულობის დამტკიცებით




დრეიფუსი მართლდებოდა და რადგან დრეიფუსის გამარტლებით ისინი (ლენერლები) თუ სასჯელს არ მიეცემოდნენ, ყოველ შემთხვევაში საზოგადოების თვალში ყოველივე პატრეს დაკარგავდნენ უღანაშაულო კაცის დასჯისათვის, ამიტომ ჯარის უფროსებმა უმჯობესათ ცნეს ამ საქმის ჩაფუჭილება, რისთვისაც პიკარი აფრიკისკენ გაგზავნეს, უთუოთ იმ იმედით, რომ ის იქიდან ცოცხალი ველარ დაბრუნდებოდა. დრეიფუსის ძმა, მათე დრეიფუსი, დარწმუნებული ესტერპაზის დანაშაულში, მინისტრს თხოვნას აძლევს, რომელშიაც ესტერპაზზე უთითებს, როგორც ნამდვილ დამნაშავეზე, — და თავის ძმას შეცდომის მსხვერპლათ თვლის. ამ განცხადებას მოჰყვა ესტერპაზის პროცესი იანვარში, სადაც დამნაშავეთა სკამზე ესტერპაზის მაგიერ, პიკარს ამოაყოფინეს თავი, რომელიც საგანგებოთ იყო დაბრუნებული აფრიკიდან. ეს არ უნდა გაგიკვირდესთ, რადგან სამხედრო სამართალი არ გვანებთ სამოქალაქო სამართალს. ასეთმა უსამართლობამ ააღვლეა საზოგადოების უმცირესი და თან ჩრეული ნაწილი, და ემილ ზოლამ წერილი გამოაქვეყნა ვანეთებში პრეზიდენტის სახელზე, სადაც ის ბრალსა დებდა ჯარის უფროსებს და მათ უკვე საქციელს სამართლიანათ ჰკიცხავდა. ამ წერილს მოჰყვა ზოლას სამართალში მიცემა. ეს პროცესი ორ კვირას გაგრძელდა, და თუმცა ზოლა ბევრს ცდილობდა, რომ ამ ბურუსით ვარემოცულ საქმეს ნათელი მოეფიქრა, მაგრამ ვერას გახდა. ყოველ მის კითხვას, რომელსაც მიზნათ პროცესში მეტი სინათლის შეტანა ჰქონდა, პასუხს არ აძლევდნენ — ანუ უკეთ, ასეთი კითხვების დასმაზე ნებას არ რთავდნენ, და რომ ზოლოს მოსამართლეებს საქმე გაუჭირდათ, თვით ჯარის უფროსი ბუადერფი მოიშველრეს. ამან თავისი ხმალი დადგა სასამართლოს სასწორზე, და რადგან ხმალი, როგორც მოგეხსენებათ, მძიმე რამაა, ამიტომ სამართლის სასწორი ცალ-მხრივ გადაწონა. ზოლა დამნაშავეთ იქნა ცნობილი და ერთი წლის ნაობაზტი მიუსაჯეს და თან ფულითაც დააჯარიმეს. ეს საქმე ამით არ გათავებულა. ზოლამ განაახლა საჩივარი უმაღლეს სასამართლოში და ეს საქმე ისევ უნდა გაიჩრეს. — ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ მელინის სამინისტრო საკმაო მკაცრათ ეპყრობოდა იმათ, ვინც რევიზიას თხოულობდა და თავისი სამხედრო მინისტრის პირით ოთხჯერ დაიფიცა საფრანგეთის პალატის ტრიბუნლიდან, რომ დრეიფუსი სამართლიანათ და განაიყნათ იყო დასჯილიო. მელინის სამინისტრო დაცა და მას ბრისონის სამინისტრო მოჰყვა. პარველი საკითხი, რომლითაც დეპუტატებმა მიმართეს ახალ სამინისტროს, იყო თუ რას ფიქრობდა ის დრეიფუსის საქმის შესახებ და ან რა ზომები უნდა მიეღო რევიზიის მომხრეების წინააღმდეგ. სამხედრო მინისტრათ. ნამყოფ კავენიაკმა პასუხი გასცა მთავრობის მხრით ხალხის წარმომადგენლებს. და თუ ბილიო-

სათვის დრეიფუსი სამართლიანათ და განაიყნათ იყო დასჯილი, კავენიაკისათვის ის სამართლიანათ და დინჯათ (sans passion) იყო დასჯილი. განსხვავება კარგა დიდია. დეპუტატები კი ტაშის კვრით მიეგებნენ ასეთ განცხადებას, თუმცა დიდათ გასახარელი აქ არაფერი იყო. ხოლო რევიზიის იდეამ ბევრს აზრა დაუბნია და ბევრნიც უთუოთ ფენის ხმას აძვეენ, რომ მით თავისი პატრიოტობა ეჩვენებიათ. ერთი რადიკალი დეპუტატი თავის საარჩევნო პროგრამაში ასე აცხადებდა: — პატრიოტი უწინარეს ყოვლისა, მე წინააღმდეგები დრეიფუსის საქმის რევიზიას, მიუხედავათ იმისა ის დამნაშავე იქნება თუ არაო. ხუთას დეპუტატში ერთიც არ წამოადგა, რომ მოკლეთ მოეჭრა კავენიაკისათვის და ეკითხა, დრეიფუსი განაიყნათ იყო დასჯილი თუ არა, ესე იგი მისცეს მას თავის დაცვის საშეალება და აჩვენეს ყველა ის ქალაქლები, რაზედაც მის დანაშაულობას ამყარებდნენ, თუ არა?

კავენიაკმა, მართლმორწმუნე დეპუტატების ტაშის კვრით გათამამებულმა, სხვა საბუთები გადმოაღაა დრეიფუსის დამნაშავეობის დასამტკიცებლათ, მაგრამ ბედმა უმტყუნა. ერთი ქალაქი, სადაც დრეიფუსის გვარი მთელათ ეწერა, და რომელზედაც კავენიაკი ყველაზე უფრო ამყარებდა თავის რწმენას, ყალბი გამოდგა და ისიც პოლკოვნიკი ანრის შემდგენილი და ანრი კი პიკარის დათხოვის შემდეგ ბიუროს უფროსი იყო. ანრი გამოტყდა. დააპატიმრეს კიდევ; და ოცდა ოთხ საათის განმავლობაში თავიც მოიკლა სამართლებლით. ბოროტი ენები ამბობენ, რომ ჯარის უფროსებმა ხელი შეუწყვესო ანრის თავის მოკვლას, რადგან მისი გამოტყენის შემდეგ ის მათთვის მანე პირი ხდებოდა. რამდენათ მართალია ეს, ძნელია ამის თქმა. ხოლო ეს ფაქტია და ფაქტათ დარჩება, რომ არავითარი სერიოზული გამოძიება ანრის სიკვდილის გამო არ ყოფილა და არც ცინს უფროსისათვის არავითარი საყვედური არ მიუციათ, რომ ანრი კარგათ არ დაჩხრიკა და მით თავის მოკვლის საშეალება მისცა. ანრის დაჭერამ და მისმა თავის მოკვლამ დიდათ ააშფოთა ხალხი; ბევრს თვალეზი აუხილა და რევიზიის მომხრეთა რიცხვი გამარავლა. თუ კი დრეიფუსის წინააღმდეგ საკმაო საბუთები იყო, რალა საჭირო იყო ყალბი ქალაქლების შედგენა? კაცი უთუოთ კავენიაკსათ ჯიუტი და მასთან მოკლე აზრის უნდა იყვეს, რომ ასეთი კითხვა თავის თავს არ მისცეს ამ შემთხვევას შემდეგ. ამას შემდეგ რევიზიის უარის ყოფა მეტათ უხერხული იყო, ამიტომ კავენიაკი იძულებული შეიქნა თავის სამსახურისათვის თავი დაეკრა, და მანამდის ჩრდილში მიმალული ბრისონი სცენაზე გამოსულიყო. კავენიაკს ცურლიანდენი მოჰყვა, რომლისათვის ბრისონს არც კი უკითხავს, ის რევიზიის წინააღმდეგი იყო თუ არა. და როგორც ჩანს ცურლიანდენი იმ განზრახვით შესულიყო, რომ რევიზიისათვის ხელი





შეეშალა, — და რადგან ეს ვერ მოახერხა, ისიც კავენიაკის გზას გაუდგა. ხოლო მის მინისტრობის დროს დათხოვნილი იქნა სამსახურიდან პოლკოვნიკი პატი-დეკლამი, რომელიც 1894 წელს დრეიფუსის საქმეს აწარმოებდა — და რომელსაც დიდი სულიერი ნათესაობა აქვს ანრისთან, ე. ი. იმისავეთ ყალბი ქალაქების ავტორია. ეს ის კაცია, რომელმაც სამხედრო სამინისტროდან გამოიტანა ცხრა კლიტულში შენახული და დრეიფუსის საქმეებში ჩაკერებული ქალაქები და ესტერჰაზის გადასცა. ესტერჰაზიმ ის ჩადრში გახვეულ ქალათ მონათლა. (როდესაც ესტერჰაზის ჰკითხეს, საიდან იშოვევ ეს წერილებიო, ასე უპასუხა: მე არ ვიცი ვინაობა მისი, ვინც მე ეს ქალაქი გადმომცა, მხოლოდ შემიძლია ვთქვა — რომ ის მანდილოსანი იყო და პირზე უალი ჰქონდა და მაშასადამე მე არ მიცენიაო), თუმცა ესეთი მცირე სასჯელი მისი დანაშაულის გვერდში სახსენებელიც არ არის, მარა ეს მით არის საუბლისხმიერო, რომ თავათ იმათ, ვინც ასე თავგამოდებით წინ ელობებიან რევიზიას, ცნეს, რომ ის ვინც დრეიფუსის საქმეს აწარმოებდა საეჭვო კაცთა ჯგუფს ეკუთვნოდა.

ანრის დაქვრას შემდეგ მთავრობამ გზა მისცა რევიზიას; საქმე კომისიას გადასცა — რომელიც ვასინჯავს და უმაღლეს სასამართლოს გადასცემს. ამ გვართათ ეს საქმე პოლიტიკური სფეროდან გამოვიდა და იურიდიულ გზას დაადგა, საიდანაც მას თავიდანაც არ უნდა გადაეხვია. მაგრამ რადგანაც რევიზიის მოწინააღმდეგე მხარეს სინათლე ამ საქმეში მეტათ აშინებს, ამიტომ მიმართეს უკანასკნელს და მასთან ყველაზე უფრო სამარცხვინო საშუალებას. აი საქმე რაშია. ორ თვეზე მეტი იქნება, რაც პიკარი ციხეში ზის. ამის მიზეზი შემდეგია. იმის მეორე დღეს, რაც კავენიაკი ტრიბუნლიდან თავმომწონეთ კითხულობდა ანრისაგან შედგენილ ყალბ ქალაქებს და მასზე თავის რწმენას ამყარებდა, პიკარი წერილს წერდა ბრისონს, რომლითაც აცნობებდა, რომ კავენიაკის მიერ ტრიბუნლიდან წაკითხული წერილები ზოგი არ შეეხება დრეიფუსს და ზოგიც ყალბიაო. აი ამ წერილის გამოქვეყნებისათვის პიკარი დააპატიმრეს, და საბუთათ კავენიაკმა ხელზე ის დაიხვია, ვითომ პიკარს, როდესაც მას ცნობათა შეკრების ბიურო ებარა, თავის მეგობარ ვეკილს ლებლუასათვის ზოგიერთი საიდუმლო დოკუმენტები ეჩვენებოდა... მაგრამ ამ მხრით მას არაფერი შიში არ ჰქონდა და თავსაც იმართლებდა. — ოცდა ერთ ენკენისთვის კიდევაც გამოცხადდა სასამართლოში, სადაც ის უნდა გაენთავისუფლებიათ, ან და საქმე გადაეღათ დრეიფუსის საქმის გარჩევამდის. მაგრამ ხომ

გაგიგონიათ წყალ-წაღებული ხაფის ეკიდებოდაო, და რევიზიის მოწინააღმდეგე ცურლინდენის შემწეობით, რომელიც მინისტრათ იყო კავენიაკის შემდეგ, და ახლა კი პარიჟის სამხედრო გუბერნატორია, უკანასკნელ საშუალებას მიმართეს. ცურლინდენი ბრალსა სდებს პიკარს, ვითომც მას სიყალბე ჩაედინოს და petit bleu მას შეეთხზოს. ამის გამო პიკარი სამხედრო სამართალს გადასცეს, სამოქალაქო საპყრობილედან გამოაყვანეს და სამხედრო სატუსალოში ჩააჯინეს, სადაც დიდი სისასტიკით ეკიდებია. როდესაც ეს პიკარმა სასამართლოში გაიგო, ხალხს მიუბრუნდა და ასე უთხრა: მე შეიძლება უკანასკნელათ ვლაპარაკობდე საზოგადოებაში და ამიტომ მსურს გამცნოთ, რომ თუ ჩემ საპყრობილეში ანრის სამართლებელი ენახე, თავს არ მოვიკლაე, ხოლო თუ მეკადრი მიპოვონ, იცოდეთ, რომ ძალათ მოკლული ვიქნები. — ეს განცხადება საგულისხმოა.

ამ „petit bleu“-ს ორი წლის არსებობა აქვს. ზოლას პროცესის დროს მასზე ხშირათ იყო ლაპარაკი, და თუ ეს ქალაქი ცოტათი მაინც ეჭვს ბადებდა, რატომ ამდენხანს ყურადღება არ მიაქციეს და პიკარს ანგარიში არ მოთხოვეს; მით უმეტეს რომ ამ petit bleu-თი იწყება ზოლა-ესტერჰაზის პროცესი და ის არეულ-დარეულობა, რომელიც დრეიფუსის საქმემ გამოიწვია. ამასთან ნუ დაივიწყებთ იმას, რომ ანრი ისე როგორც ყველა სამინისტროში მყოფი აფიცრები ზოგიერთ ღენერლების ზედამატებით ემტერება პიკარს. კიდევაც ბერ საშუალებას მიმართეს მის დასალუპავათ, და თუ ამდენხანს პიკარისათვის „petit bleu“-ს შესახებ ანგარიში არ მოუთხოვიათ, ეს იმიტომ, რომ ყველა დაწმუნებული იყო, რომ ეს წერილი მას არ შეუთხზავს. თუ ახლა მიაქციეს ყურადღება ეს იმიტომ, რომ საცაა დრეიფუსის საქმის რევიზია დაიწყება და პიკარი კი ერთი იმ მოწმეთაგანია, რომელიც არაერთარ ბოროტების გამოაშკარავებას არ შეუდრკება და მით ზოგიერთ უფროსებს თავი მოექტებათ; ამიტომ საჭიროა მას სახელი გაუფუჭონ, რომ მისი მოწმობა გააბათილონ და ამგვართ რევიზია წინ გადაედობონ. თუ სადამდი მიდის ზოგიერთების დაბრმავება, შეგიძლიათ ამაში შემდეგი მაგალითით დაწმუნდეთ. ზოგიერთ გაზეთებმა ანრისათვის ძეგლის აგების სურვილი განაცხადეს!

ძეგლის აგება იმ კაცისათვის, რომელიც თავისი პირადი ინტერესისათვის ან და რომელიმე თავისი უფროსის სიამოვნებისათვის, არ შეუდრკა ყალბი ქალაქების შედგენა და მით სხვის დაღუპვას, მართლა რომ საოცრებაა. ეს ხომ თვით ბოროტებისათვის ძეგლის აგება იქნება. სწორეთ რომ კაცის ჭკუა



არანორმალურათ უნდა მუშაობდეს, ან და ის მეტათ  
ეგოისტი უნდა იყვეს, რომ თავის ინტერესების და-  
ცვისათვის ასეთ საზიზრობაში მივიდეს.

არა ერთჯერ და ორჯერ მომხდარა იმისი მაგა-  
ლითი, რომ უღანაშაულო კაცი დაესაჯათ, და ხელ  
მეორეთ საქმის გასინჯვას შემდეგ ისევ გაემართლე-  
ბინათ. რატომ ამასვე ვერ ვხედავთ დრეიფუსის სა-  
მეოში, მით უმეტეს რომ ბევრი ფაქტებია, რომლებიც  
ის სიმართლევზე დასაბუთებენ. რა არის იმის მიზეზი,  
რამ ისეთი კლასიკური ქვეყანა თავისუფლებისა,  
დემოკრატიული საფრანგეთია, ამ საქმეში მტარვალობის  
გზას დადგამია.

დრეიფუსის საქმის რევიზიით ბევრა ჯარის უკ-  
როსები პასუხის გებაში მიეკემა; მათი ცუდი სა-  
ქცეოლი გამოაშკარადება და შეიძლება კიდევ რამ-  
დენიმე მათგანი, რომლებსაც ხალხი სასოებით შეჰ-  
ყურებდა და მათზე დიდ იმედებს აწყობდა, დამნა-  
შავეთა სკამზე წამოასკუპონ; ეს კი არაფრათ  
ეპიტინავებათ ნერვივ აშლილ პატრიოტებს, ნაციონ-  
ალისტებთან წოდებულებს ესენი გაძახიან რომ დრე-  
იფუსის საქმის ხელ-მეორეთ გადაშინჯვით, გერმანი-  
ასთან ჩხუბი მოგვივა და იმ დღეს, რა დღესაც რე-  
ვიზიას დაიწყებენ, ჯარი გერმანიის საზღვრებზე უნ-  
და გაეგზავნათ. ამით პატრიოტები ხალხს აშინე-  
ბენ, და ტანში შიშის ქარებს უყენებენ - და ნაცე-  
ლათ გამხნეებებასა, ლაჩობას უქადაგებენ. ესეც პა-  
ტრიოტული მოღვაწეობა!.. ნაციონალისტებს გვერ-  
დში უდგიათ კლერიკალები და თავ-გამოდებით იცა-  
ვენ ჯარის უფროსებს - რადკან ეს უკანასკნელები  
თითქმის ყველანი იეზუიტების. ზედ-გავლენის ქვეშ  
იმყოფებიან, მათი სკოლებიდან არიან გამოსული და  
მათი მოძღვრების გულმხურვალე მოწაფეები.

როგორც სამხედრო ისე სასულიერო წოდება-  
ნი რეაქციონულ ძალას წარმოადგენენ და თუ პირ-  
ველს ძალა აქვს, იმ შემთხვევაში მეორეც მაგრათ  
გრძნობს თავის თავს; თუ პირველი სუსტდება,  
მეორეც სუსტდება და გავლენას ჰკარგავს. ერთი  
მეორეს ეხმარება და ორივე კი ერთათ ერთი მეო-  
რეს ბურჯს შეადგენს... და რა გასაკვირველია, რომ  
ისინი ხელი-ხელ ჩაკლებულნი მადიოდენ და ერთი  
მეორეს იცადენ. ნაციონალისტებთან და კლერიკა-  
ლებთან ერთათ მოღვაწეობენ მონარხისტები და  
თვით ფილიპე ორლენანელი მანიფესტს სცემს რო-  
მლითაც რესპუბლიკის მთავრობას ჰკიცხავს და ხალხს  
ემულარება, რევიზიას წინ გადაელობე და ჯარის სა-  
ხელს ნურავის შეალახებინებო.

ერთი სიტყვით დღეს ვაცხარებული ბრძოლაა  
საფრანგეთში: ერთი მხრით არის ყველა რეაქციონული  
ძალა, რომელიც ცხოვრებას წინ ეღობება და სურს

უკუღმა დაატრიალოს ისტორიის ჩალო. მონარქი-  
სტები ეკოწიწებიან იმ დროისაკენ, სადაც ერთი კა-  
ცის ქეიფს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მას ან-  
გარიშს ასე ადვილათ ვერ მოთხოვდნ მონარხისტებს  
სურთ საფრანგეთის ისტორია ერთი უკუნით უკან  
დაწიონ; გადალაჯონ საფრანგეთის დიდ რევოლუ-  
ციას და მისგან სისხლით მოპოვებული მოძღვრებას  
და რომელიმე ლუის ჩაბარონ ხალხის მართვა-გამ-  
გეობა. კლერიკალები კიდევ მათზე შორს მიდიან  
რამდენიმე საუკუნით, იმ დროისაკენ, როცა ინკვი-  
ზიციები არსებობდენ და არა—ქრისტიანებს კოკონზე  
წვადენ. ყველა ეს შეერთებული ძალა საკმაოთ  
ძლიერია და ამით იხსნება რომ დრეიფუსის საქმე ამ-  
დენ ხანს გრძელდება.

ხოლო მეორე მხრით არის ახალი საფრანგეთი,  
რომელიც მომავლისაკენ იცქირება, და ცხოვრებას  
განვითარების სათავეში უდგია. ეს ის საფრანგეთია,  
რომელიც ხალხის დიდებას არა თოფ-ზარბაზნებით  
და არც მოგებული ომებით ზომავს, არამედ ხალხ-  
თა შორის საუკეთესო წეს-წყობილების დამყარებით,  
ძმობა-ერთობის დამკვიდრებით, და რომელსაც სურს  
რომ ამ დიდ საქმეში პირველობა საფრანგეთს ეჭიროს.  
იმას, ვისაც არ შეუძლია და არ სურს დაიცვას წარ-  
სული ცხოვრებისაგან სისხლით მოპოვებული სიკე-  
თე, ნება არა აქვს მომავლისაკენ იცქირობოდეს, რა-  
დგან მომავალი აწმყოს შეილია...

ქ. ლიონი.

X.

P. S. მთავრობა უკვე დათანხმდა რევიზიას და  
დრეიფუსის საქმე უმაღლეს სასამართლოს გადასცა.

X.

„ქვალის“ უმსბა.

ქ. ბათუმში. ბ. დასჯილს. თქვენი წერილი სამ-  
წუხაროთ ვერ იბეჭდება.

აქავე. ბ. თეიმურაზ თოფურისა. ჩვენ არა ერთ-  
ხელ გამოგვიცხადებია, რომ დაგვიანებულ საპასუხო  
წერილებს არ ებეჭდავთ. რაც შეეხება თქვენ განც-  
ხადებას, ის აქვე მოგვყავს მუშათა საცნობლოთ: „სა-  
ყოველთაოთ ვაცხადებ თუ ვისმეს მუშა-თავანს რაი-  
მე მისალები აქვს არტელიდან წარმოადგინონ საბუთი  
და ფული მიიღონ“.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.